ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 398 1918 წ. კვირა, დეკემბერი 1. № 398

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
რაიონის გარეშე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

დღეს დამოუკიდებლობის ექვსი თვის თავზე პარლამენტის საზეიმო სხდომაა. სასახლესთან გაიმართება მიტინგები და პარადი ჯარისა. ინგლისელების მისიის ნაწილი ტფილისიდან გაემგზავრა. უკრაინაში ბოლშევიკებმა მანიფესტი გამოსცეს.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი სანდრო, ნიკო, ალექსი, განო და ირაკლი მამუკაშვილები ამით აუწყებენ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, პირველის მეუღლე მხოლოდ დანარჩენის დედა

ანნა გიორგის ასული მამუკაშვილისა

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე. გამოსვენება კვირას, დეკემბრის 1-ს, მე-7 უბანი ვახტანგოვის ქუჩა, № 28. წმ. მარინეს ეკლესიაში, მხოლოდ დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2778

კვირას, დეკემბრის 1-ს

ლევან გიორგის ძე წერეთლის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე დემოლონი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები. წირვის დასაწყისი 10 საათზე. პანაშვიდი $11^{1}/_{2}$ საათზე.

ქრისტინე ხვიჩონის ასული, სპირიდონ ოტიას ძე შვილებით: თამარ, გრიშა, ირა, ვავა, ნინო და დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა მათი საყვარელი სიძე

ლუკა აპოლონის ძე სურგულაძე

დასაფლავება მოხდება დღეს, დეკემბრის 1-ს სოფ. ხვანჭკარას (ქვემო რაჭაში). 2490

კონსტანტინე და მინადორა შაფათავები, მიტროფანე, პლატონი და ვალოდია კორძახიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ახალსენაკში უდროოდ გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი შვილი, ხოლო მეორეთა ძვირფასი დისწული

ლილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, დეკემბრის 1-ს სოფ. აბედის ეკლესიაში. 2489

იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანი უღრმეს მადლობას სწირავს ყველას, ვინც კი პირადად, დეპეშით თუ წერილობით თანაგრძნობა განუცხადა მას ძვირფასი მეუღლის

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანის

უდროოდ დაკარგვის გამო. 2482

ღრმად დამწუხრებული მამა, თომა ვასილის ძე სურმავა, ძმები: ვლადიმერი, ალექსანდრე და კონსტანტინე. დები: ნადეჟდა და სალომე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი უძვირფასესი და მარად დაუვიწყარი

ვასოს (ვასილის)

გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების გამო კვირას, დეკემბრის 1-ს (ახ. სტ.) გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქ. კოჯორში წმ. მარინეს ეკლესიაში. 2492

სოფ. ახალქალაქის კოოპერატივ „თემის“ გამგეობა და მოსამსახურენი გულჩათუთქულნი აუწყებენ კოოპერატივის წევრთ ძვირფასი თანამშრომლის

თამარ ალექსანდრე კეზელის ასულის თარხან-მოურავის

გარდაცვალებას, დაკრძალვა დღეს, დეკემბრის 1-ს ს. ახალქალაქს. 2488

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: სოსო, კოლა, სონა გურგენიძისა, ახა ქევიძისა; სიძეები: ალექსი გურგენიძე, გიორგი ქევიძე და შვილიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი

ალექსანდრე იოსების ძე ჩოლაყურის

გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან დილის $9^{1}/_{2}$ საათზე, კრასნოგორის ტუპიკი, № 14, თომას ეკლესიაში (კვირაცხოვლის) დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე 2

თავზარდაცემული, გულდათუთქული და უნუგეშოდ დატოვებული ალექსანდრა დავითის ასული მართაშვილისა, მღვდელი დავით სართანიძე მეუღლე მარიამით, ეფრემ დავითის ძე სართანიძე მეუღლე შუშანიკით, ნადეჟდა დავითის ასული ბერიძისა და ელისაბედ დავითის ასული ხოსიტაშვილისა მეუღლე და ოთხი [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს ნოემბრის 28 გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი და ერთად-ერთი ნუგეში ასული, მეორეთა ძვირფასი შვილის-შვილი და უკანასკნელთ დაუვიწყარი და სიყვარულით აღსავსე დისწული ტფილისის მე-7 გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე

ნინო კონსტანტინეს ასული მართაშვილი

გამოსვენება მოხდება დღეს, დეკემბრის 1 დილის 9 ნახ. საათზე საკუთარ ბინიდან კიზლიარის შესახვ. № 4, წირვა და პანაშვიდი ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა [illegible] 2491

სახელმწიფო თეატრი

კვირას, დეკემბრის 1-ლს დილით

პაიაცები და ქორწინება უკრაინაში

საღამოთი ალეშკოს, ზალიპსკის, პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით **დუბროვსკი.**

სამშაბათს, დეკემბრის 3-ს შულგინას, ზალიპსკის, ვრონსკის მონაწილეობით 1. მადამ ბატერფლეი. 2. კავალერიის ბანაკი (ბალეტი).

ოთხშაბათს, დეკემბრის 4-ს ვ. ნიკოლსკის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე პირველად 1. მოცარტი და სალიერი. 2. სევილიელი დალაქი. მონაწილეობენ საბანეევისა, პოლიაევი, ზალიპსკი და ნიკოლსკი.

ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს, საბანეევის, ალეშკოს, მოროზოვას, კაშინის, ვრონსკის, ნიკოლსკის და ისეცკის მონაწილეობით **ჰუგენოტები.** 1397

პ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი

სახ. სახლ. არხ. ქართ. წარმ. მმართ. წრე.

ორშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 2-ს ქ-ნ ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ხანუმა

მონაწილეობენ: ქ-ნი ს. ანკარა, ნ. ჯავახიშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ბ.ბ. ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ვ. რატიშვილი.

ადგილების ფასი 3 მ. 50 კ.-მდე.

ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 10—12-მდე და საღამოს 6—8 საათ.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე. შემდეგი წარმოდგენა დეკემბრის 7-ს.
რეჟისორი ⁂ 2493 ქარ. სახ. წარმ. წ. ადმინისტრაცია.

ისარგებლეთ შემთხვევით

გოლოვინის პრ. 12. იღება ორშაბათს, დეკემბრის 2-დან მაღაზია მოკლე დროით, სადაც იქნება გასასყიდლად მრავალი საქონელი მოტანილი კონსტანტინეპოლიდან გალანტირეია და მანუფაქტურა, წვრილად იმ ფასებში, როგორც პარტიობით, დასაკმაყოფილებლად საზოგადოებისათვის. 2495

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

დემ. კლ. არხ. ქარხ. სახ. წარ. მმარ. წრე

კვირას, დეკემბრის 1-ს 1918 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა

ქრისტინე

დრამა 4 მოქმ. იროთელისა.

ბილეთების ფასი სახალხოა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში საღ. 5—8 საათ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

2491 რეჟისორი ა. ფრანგიშვილი.

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დეკემბრის 6-ს დილით 12 საათზე არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა საბჭოს დარბაზში მადათოვის ქ. 3. სასურსათო საბჭოს საქონლის გადატან-გადმოტანაზე ქალ. ტფილისში, მაგალითად: ტფ. სადგურიდან საწყობებში სომხების ბაზარი (Армянскій базар) მანთაშევის ბნელი საწყობები (Темные ряды Манташева). კახეთის რკინის გზის ნავთლუღის სადგურიდან იმ ადგილებამდე, სადაც საბჭოს აგენტები მიუთითებენ, საწყობიდან საწყობში და სადგურზე და საზოგადოთ როგორც საჭიროება მოითხოვს.

ყველას, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, არდგენს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სახელზე განცხადებას, რომელშიდაც აღნიშნავს: 1. თავის გვარს, სახელს და მამის სახელს, 2 თავის მისამართს, 3. გადატანის ფასს ფუთზე და 4. საშუალებას, რომლითაც ის აწარმოებს გადატან-გადმოტანის საქმეს. (ერთ ცხენიან თუ ორ ცხენიანი მარხილებით, ფურგუნებით, ავტომობილებით თუ სხვას) და რაოდენობას გადასატან-გადმოსატან საშუალებებისა.

განცხადებები დაზღვეული და დახურული უნდა იყოს შემდეგი წარწერით სასურსათო საქონლის გადატან-გადმოტანის ჯიბრობაზე მონაწილეობის მისაღებად.

ამ გვარი განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სამმართველოში.

უკანასკნელი ვადა განცხადებების წარმოდგენისა დანიშნულია მომავალ დეკემბრის 5-ს.

ცნობების მიღება შეიძლება მიმწოდებელ განყოფილების უფროსთან. 1419

ტფილისი, დეკემბრის 1.

საქართველოს პერსპექტივები

ექვსი თვე შესრულდა მას შემდეგ რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და რესპუბლიკა. ეს ხანა რესპუბლიკის ცოცხალ ძალთა გამოცდა იყო უმთავრესად და ამ ხნის განმავლობაში ყველასათვის თვალსაჩინო შეიქმნა გარემოება: ყველა ფორმაზე ადვილი, ყველა ფორმაზე უმჯობესი ამ ჟამად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ყოფილა. მძიმე ობიექტიურ პირობებში საქართველომ გამოამჟღავნა თავისი ეკონომიური არსებობის შესაძლოება, გამოაშკარავა სახელმწიფოებრივ მართველობის ნიჭი და მომზადება, რომ ქართველ დემოკრატიას სავსებით შეუძლია [illegible] ნაციონალურ პრინციპის პოლიტიკას, გაბატონოს ნაციონალიზაცია და შექმნას ამ ნიადაგზე სრული სახელმწიფოებრივი მექანიზმი.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მიერ განვლილი დრო მთელ საუკუნეს წააგავს, უკვე დავიწყებას მიეცა, რომ სასამართლოში შეუძლებელია ქართული ენის შეტანა, ვერავინ იტყვის, რომ საქართველოს პარლამენტი ვერ შესძლებს საკანონმდებლო მუშაობას, რომ ქართველი ერი ვერ აწარმოებს ღირსეულ პოლიტიკას საშინაო და საგარეო სფეროში.

დიახ, ჩვენ მოვამწიფეთ ამ ხნის განმავლობაში და ამ სიმწიფის ნიადაგზე თავი მოუყარეთ ქართველ ერის ყოველ ძალას. ეს განვლილი ექვსი თვე იყო თვეები პოლიტიკურ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა, ჩვენი მთავრობა იყო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების მესვეური და ამ საქმეში მთავრობამ შესძლო სრული გაერთიანება ქართველობაში მომქმედ ყველა პარტიულ და საზოგადოებრივ ძალებისა.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამიერიდან პოლიტიკური საკითხი და საგარეო პოლიტიკის სფერო სავსებით დაწურულია ჩვენთვის. შემდეგშიაც დიდი ბრძოლა დაგვჭირდება ამ ნიადაგზე, მაგრამ საამისო პირობები შედარებით გაადვილებულია: ქართველთა საშინაო ძალები თავმოყრილია და შექმნილია საშინაო ძალებისათვის დამცველი ორგანიზაციები, როგორც პოლიტიკური ადმინისტრატიული ისე მილიტარული.

საქართველოს პერსპექტივაც აი ამ წყაროდან გამომდინარეობს და გვისახავს ჩვენს მომავალს. ეს მომავალი არა ნაკლებ რთული და მძიმეა, ვიდრე იყო განვლილი პოლიტიკური ხანა, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს ამ მომავალში ჩვენი რესპუბლიკა აწარმოებს უმთავრესად სოციალურ შემოქმედების პოლიტიკას, ფართოდ დააყენებს მუშათა საკითხებს, მიწის საქმეს, ერობის და ქალაქის ცხოვრებას. სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრების ამოძრავება, ცხოვრების ამ დარგში ჩათრევა და ამოძრავება ხალხის ფართო მასის შესაძლოა გახდეს საშინაო საზოგადოებრივ ძალების შეხლა-შემოხლის საგანი, მაგრამ სოციალურ ანტოგონიზმის გამოჩენა, ამ ანტაგონიზმის წესიერ კალაპოტში ჩაყენება და კულტურულ პრინციპების გამარჯვება ჩვენ გვგონია გახდება იმ ფერმენტად, რომელიც საქართველოს დემოკრატიას, ჩვენი ხალხის დიდი უმეტესობას დააკავშირებს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასთან, გააღვიძებს ხალხში მთავრობისადმი სიყვარულს და ამ რიგად საქართველოს მთლიანობა და ძლიერება კიდევ უფრო სასურველ სახით წარმოსდგება.

ამნაირად, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი უმთავრესად უნდა იყოს მომავალი სოციალური შემოქმედებისა, ვინაიდან მხოლოდ დემოკრატიზმის ნიადაგზე შეიძლება დამყარება საქართველოს დამოუკიდებლობისა. ეს პრინციპი ამავე დროს იწვევს სხვა პერსპექტივის გადაშლას. სოციალურ პოლიტიკის წარმოება რამდენამდე შესცვლის სასურველობის მხრივ ამიერკავკასიის ერთა შორის გამწვავებულ მდგომარეობას და ჩვენ გვწამს, გადაჭრა წმინდა ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებს საბოლოოდ გაჰფანტავს არსებულ ადგილობრივ საერთაშორისო ბურუსს და ჩვენი დემოკრატია სომხის, თათრის და სხვა ერის დემოკრატიულ ძალებთან წავა სეპარატიულად თავის საქმეების მოსაგვარებლად, ხოლო სოლიდარულად საერთო ინტერესების დასაცავად. ასეთი პერსპექტივების დასახვა ჩვენ სანუკვარ იმედებით გვაქვს და სწორედ ამიტომ არის, რომ გულწრფელად ვდღესასწაულობთ საქართველოს დამოუკიდებლობის და რესპუბლიკის გამოცხადების ექვსი თვის შესრულებას.

ექვსი თვის თავზე

ექვსი თვეა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სახე ხელახლა აღსდგა.

წარსულის სილუეტები და მომავლის პერსპექტივები ერთმანეთში იხლართებიან. ზღვა ფიქრისა და გრძნობის წინ ვდგავართ.

ისტორიამ ნახტომები არ იცის, პოლიტიკურ განვითარების ტემპი კი ხან აჩქარებულია, ხან შეფერხებული. [illegible] წლებში დაწყებული პოლიტიკური გათვითცნობიერება ქართველის ხალხისა

ნახევარ საუკუნეზე მეტი ისეთის ნელის ნაბიჯით სწარმოებდა, რომ გარეგნობით ჩვენს ცხოვრებას ნაციონალური პესსიმიზმი ახასიათებდა. ქართველ ხალხის შინაგან ეროვნულ ძალების იმედი ილეოდა. საზოგადოებრივ აზროვნების მესვეურნი ან ეროვნულ ძალთა გარეშე ეძიებდნენ ხალხისთვის სამშვიდობო ნავთსაყუდელს, ან ეროვნულ გადაგვარების გოდებით იფურებდნენ თავის შეურაცხყოფილ გრძნობებს.

საზოგადოებრივი რეალიზმი ყოველთვის ძნელი მისაგნებია. მაისის 26-ის აქტმა დაამტკიცა, რომ ის რაც ქართველ ხალხის ნაციონალურ რეალობას შეადგენდა, დიდხანს უჩინარი იყო როგორც თვით ამ ხალხისთვის, ისე იმის მესვეურებისთვის. როცა ისტორიულ ძალთა ჭიდილმა ქართველი ხალხი უკიდურეს გასაჭირის წინაშე დააყენა, როცა მან აჰხადა ქართველ ხალხს საბურველი და გააშიშვლა იმისი გული,—თითქოს სასწაული მოხდაო, ყველამ შინაურმა და გარეულმა მცოდნემ და უვიცმა, მტერმა და მოკეთემ, ყველამ ერთად დაინახა, რომ ქართველი ხალხი თავის თავს უნდა ეყრდნოს. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი საზეიმოთ და სადღესასწაულოდ არ ყოფილა გამოქვეყნებული. ეს იყო აქტი პოლიტიკური და ნაციონალური საქმიანობისა ეს იყო სინათლეზე გამოტანა ქართველ ხალხის ნაციონალური სინამდვილისა, ეს იყო ახალი პროგრამა ერის მომავალი ცხოვრებისა, ეს იყო დაძლევა ტრადიციულის, მაგრამ მოჩვენებითის ნაციონალურის პესსიმიზმისა, დამსხვრევა ძველის ღმერთების და დოგმებისა და მათ ნამსხვრევებზე ამართვა ახალის საშემოქმედო ძლიერებისა.

განვლილი ექვსი თვის მანძილზე ეს ახალი ძლიერება უკვე საკმაოთ გაიშალა და გაიფურჩქნა. ქართველმა ხალხმა დამოუკიდებელ სახელმწიფოს საფუძველზე შეირჩინა უდიდესი ნაწილი თავის ტერიტორიისა, რომელსაც გარეშე ძალა ეპატრონებოდა, დაიცვა შინაურობაში წესრიგი და მყუდროება, რომელსაც უდიდესი საფრთხე უახლოვდებოდა, განახორციელა მთელი რიგი რეფორმებისა, რომელნიც ამტკიცებენ დემოკრატიის გამარჯვებას, და მიუახლოვდა ძირითად სოციალურ საკითხებს რომელთა გადაწყვეტაც გახსნის შრომის სამეფოსკენ მიმავალ გზებს.

დამოუკიდებელი სახელმწიფო ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალური შემოქმედების აუცილებელ ასპარეზად შეიქნა. ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობისთვის დამოუკიდებლობის შენახვა და შერჩენა დღეს უკვე ჩვენი ქვეყნის განვითარების და კეთილდღეობის პოლიტიკურ პოსტულატს წარმოადგენს. ქართველმა ხალხმა თავის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი უკვე საბოლოოდ გადასწყვიტა, მაგრამ ეს საკითხი ჯერ გადაჭრილი არა აქვთ იმ დიდ პოლიტიკურ ერთეულებს, რომელნიც ოთხი წლის განმავლობაში ცეცხლის ფრქვევასა და სისხლის ღვრაში იყვნენ თავის მიზნებისთვის შეიგუებენ თუ არა თავისუფლების მოყვარე სახელმწიფონი, საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები, საქართველოს დამოუკიდებლობას—ეს ჯერ ჩვენ საბოლოოდ არ ვიცით, მაგრამ როგორც უნდა გადასწყვიტონ მათ ეს საკითხი, 26 მაისს ტფილისში დინჯის კილოთი წაკითხული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა მაინც იმის მოქმედების გზის მაჩვენებლად დარჩება.

გ. რცხილაძე.

დახსნა

ას წელზე გადავატარეთ კვანძი, შიგნით საქართველოს ფსიხიკა იყო ჩაჭედილი. და ამ ასი წლის სივრცეზე ჩვენ ორის ზოლით ვამჩნევდით ამ ფსიხიკის გამოაშკარავების ლტოლვას. პირველი უფრო ღია და ბუნტარული იყო, მეორე იდუმალი, უფრო პოტენციალური, მინამ რეალურად სახული. პირველს ატარებდა საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, მეორეს საქართველოს დემოკრატია... მაგრამ ტრაგედია ამ კვანძისა ამ ზოლების შეუთანხმებლობაში ძგერდა. და ამ ომის ქარტეხილში პირველად დაისვა საკითხი ჩვენი ერის ფიზიკური არსებობისა და ძველი სახის ტრაგედია აღმოიფხვრა. პოტენციალური ენერგია საქართველოს დემოკრატიისა გარდაიშალა და მოწინავე ინტელიგენციის აშკარა ხმას მისი ძალოვნობა შეუერთდა. მაგრამ მრავალი იყო ობიექტიური სახის დაბრკოლება კვანძის გახსნას რო ხელს უშლიდა. და ამ ნახევარი წლის წინად ჩვენ ეს კვანძიც გავხსენით. მაგრამ ვიდრე ეს ამბავი რეალობად და ხელსაღებად არ იქცა საქართველოს მასისათვის, მანამ კიდევ ტორტმანობდა მისი ხვედრი, მანამ კიდევ ძიება და ნამცდავნა ენერგიის აქტიური ძიება სტიქიად გადმოდიოდა და წალეკას გვიქადდა. მაგრამ მივიდა ამ ხალხის გულთანაჯ საქართველოს დამოუკიდებლობის სინამდვილე—ზოგან ცოცხალის სიტყვით და საქმით, ზოგან, სამწუხაროდ, ზარბაზნებით.

მაგრამ ხმა მაინც მივიდა და ტალღათა სტიქიური ცემაც შესდგა. მან ინსტინქტით იგრძნო საიდუმლო კვანძის გახსნა და ამ საშინელ მსოფლიო ქარტეხილის დროს, იგი დინჯ, საზრიან საქმიანობას შეუდგა. და პირველ მის საქმედ საქართველოს თავისუფლების დაცვა შეიქმნა. დღეს ზღვაპირიდან სიღრმემდე ჩასწვდა ეს სინამდვილე და საქართველოს სახელმწიფო შემთხვევებით წარმოდგენილ კომბინაციებს არ ეყრდნობა, იგი მთელის სიმძიმით დააწვა ჩვენს დემოკრატიას და ამ საამო ტვირთის ქვეშ მისი თვალები იმედის სხივებს აფრქვევენ.

ჩვენ არაფერი არ გვქონდა ამ ექვსი თვის წინად გარდა შესაძლოებათა და ამ მოკლე ხანში ჩვენის ხელებით ყველაფერი შევქმენით—შესაძლოება თვალხილულ სინამდვილედ ვაქციეთ და იდუმალი სიმღერები ნესტან-დარეჯანისა და მიჯაჭულ ამირანის შესახებ საქართველოს მუზეუმში დავასვენეთ.

ბევრი იქნებიან საქართველოს მომავალის შვილნი ამ სიმბოლოების ახსნა რომ გაუჭირდებათ...

მაგრამ ამ ექვსი თვის წინად, სამშობლოს თავისუფლებასთან ერთად, დაიბადნენ მისი მტრებიც და ფეხაკრეფით, აგურისფერ მოსასხამით უკან აჩრდილივით მოჰყვებოდნენ ჩვენს დედას—თავისუფლებას. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ მოსასხამში ისინი მახვილს ატარებდნენ ჭრელის ტარით და მოშხამულის წვერით.

ვიცოდით და დინჯად, აუჩქარებლივ დავირაზმენით წმინდა დროშასთან. ჩვენი მკერდი განვუმზადეთ ამ ვერაგულ მახვილს. ჩვენ არ ვშიშობდით, ჩვენ ღამით ძილი არ გვინახავს და ამ დარაჯობის დროს ერთის წუთითაც არ შეგვიწყვეტია სახელმწიფოებრივი შემოქმედება; არაჩვეულებრივის ტემპით მიდიოდა ჩვენი სახელმწიფოს აღმშენებლობა.

ჩვენ დავტოვეთ ჩვენი პირადი საქმეები, ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ასპარეზი, დავტოვეთ მრავალი ძიებანი მარადისობისა, პოეზია, ხელოვნება, მუსიკა და მთელის „მე“-ობით შევიჭერით სადარაჯოში. მოხდა მთელი საქართველოს სულიერ-კულტურული ძალების მობილიზაცია და სახელმწიფოს სამსხვერპლოზე მივიტანეთ ყოველივე. და ერთად შედუღდა მთელი ენერგია საქართველოსი; მისწყდა ყოველი მუშაობა გარდა ვიწრო სახელმწიფოებრივისა. ასეთი იყო ჩვენი მობილიზაცია.

და ომის ქარტეხილიც მისწყდა, მსოფლიო ცეცხლი ჩაქრა, მის სვეტებზე მრავალი ახალი ჩუქურთმაც კი ემოვერით. ასე ერთსულოვანი იყო ჩვენი ხმა სამშობლოს დასახსნელად. და ეხლა ჩვენ გვინდოდა ჩვეულ, ნორმალურ ცხოვრებას შევდგომოდით, ჩვენ ვაპირებდით მეომართა მოვალეობისაგან განთავისუფლებას და საქართველოს კულტურის აღმშენებლობაზე გადასვლას. ჩვენ უნდა დაგვეყარა შეჭურვილი ფარ-ხმალი და სხვა იარაღისათვის მიგვემართა, რომ მთელი აზრი დამოუკიდებლობისა ღრმა-ფესვოვანი და მრავალ მხრივი გამხდარიყო. მაგრამ ღრუბლები ჯერ კიდევ ვერ გავფანტეთ, ასეთ დროს განსაკუთრებით ძნელი გამხდარა საკუთარ ფეხზე დამკვიდრება. და ჩვენაც მთელი ხალხით ისევ ვრჩებით ამ სადარაჯოში, ამ ექვსი თვის შემდეგაც ჩვენ სამშობლოს დასახსნელად, მის საბოლოო გადასარჩენად, ისევ ვტეხთ ღამეებს და აგურის-ფერ მოსასხამიან „ვინმეს“ ისევ ვუმზადებთ საკუთარ მკერდს..

ჩვენ ვიცით, რომ უნდა დავიხსნათ სამშობლო და დავიხსნით კიდეც. გახსნილი კვანძის ხელ-ახლა განასკვას ვერვინ შესძლებს, ვერ უნდა შესძლოს და ამიტომ 6 თვის შემდეგაც ჩვენ არ ვაცხადებთ დემობილიზაციას.

აკ. პ—ძე.

კვირას, დეკემბრის 1-ლს, დილის 10 საათზე,
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია ტფილისში
მყოფ ყველა ქართველ სტუდენტთა კრება

საქართველოს დამოუკიდებლობის
6 თვის შესრულების

გამო, წარმოთქმულ იქნება სიტყვები.
დასასრულ პროცესია გაემართება პარლამენტისკენ.
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობა. 1424

საქართველოს პარლამენტი

თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე კრებას ხსნის 12 ს. 20 წ.

მდივანი ი. აბაკელია ჰკითხულობს დღის წესრიგს, რომელიც მიღებულია უცვლელად.

შ. ამირეჯიბი (სარედაქციო კომ. წევრია) მოხსენებით მიღებულია საბოლოო ტექსტი სამკურნალო მადნეული აბანოების, წყაროების და ტალახების კანონისა.

უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები.

მომხსენებელი ნ. ცინცაძე (სასკოლო კომ. წევრი). წინამდებარე კანონ-პროექტი შეეხება ახალ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების გახსნას ისეთ რაიონებში, სადაც ამას უაღრესი საჭიროება მოითხოვს. ტფილისის მაზრაში, ჩვენ ვხსნით ეხლა მცხეთაში, საგარეჯოში, სიღნაღის მაზრაში—ქვემო მაჩხაანში; თელავის მაზრ.—გულაანში და ოსეთის რაიონში ამას გარდა დუშეთში, ცხინვალში, ჩოხატაურში და სხვაგან არის ისეთი სკოლები, რომელიც ხაზინის ხარჯზე უნდა გადავიდეს. დასასრულ ზოგიერთი სასწავლებელი უნდა გადაკეთდეს, უმაღლეს დაწყებით სკოლად.

რ. არსენიძე (ს.-დ.) პარლამენტის წევრნო! ჩვენ გვგონია, რომ ასე სეპარატიულად გახსნა სკოლებისა მიზანშეწონილი არ არის. საჭიროა საერთო გეგმა და მისი მიხედვით მოხდეს სკოლის საკითხის მოგვარება. ამას გარდა კონკრეტიულად არ არის ნათქვამი კანონ-პროექტში, თუ სად უნდა გაიხსნას სკოლები. მაგ. ნათქვამია ოსეთის რაიონში გაიხსნას სკოლაო. მაგრამ სად, რომელ სოფელში? ეს უნდა გამოერკვია იმ დაწესებულებას, რომელიც კანონ-პროექტს ადგენდა. შემდეგ: კანონ-პროექტის ძალით სკოლები უნდა გაიხსნას ბორჯომში და ნაძალადევში. მაგრამ ეს ხომ ქალაქებია და აქ ქალაქმა უნდა გახსნას სკოლები. ყველა ამ მოსაზრებით სოციალდემოკრატიული ფრაქცია მოითხოვს, რომ კანონ-პროექტი უკან დაუბრუნდეს კომისიას.

სპ. კედია. (ნ.-დ.) ჩვენი სკოლები ისევ იმ წესით არის მოწყობილი, როგორც წინად იყო. საჭიროა სკოლების ორგანიზაცია შეეფარდოს დამოუკიდებელ საქართველოს პირობებს. საჭიროა საერთო გეგმის შემუშავება, თუ როგორი სკოლები უნდა მოეწყოს ჩვენში. ასეთი გეგმა ჯერ არ წარმოუდგენია განათლების მინისტრს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ კანონ-პროექტი იქნეს უკან დაბრუნებული და წარმოდგენილი იქმნას პარლამენტში საერთო გეგმა სკოლების რეორგანიზაციისა.

ალ. ახმეტელი. (რ.-დ.) ჩვენ არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც ანაწილებდა სკოლებს. თელავის მაზრაში ქვემო მაჩხაანშია გახსნილი უმაღლესი დაწ. სკოლა. თიანეთის მაზრაში კი არ არის სულ, ისე დროს როდესაც აქ უფრო საჭირო იყო მისი გახსნა: თიანეთის მაზრაში ხომ ანარქია იყო ლორს ხსნიდნენ ხალხის გაუნათლებლობით: მაშასადამე უაღრესად საჭირო იყო აქ გაეხსნათ სკოლა ეს იმის მომასწავებელია, რომ არ არსებობს საერთო გეგმა, რომელთაც სკოლის საქმეებს აგვარებდნენ. ჩვენ მოვითხოვთ კანონ-პროექტი უკან იქმნეს დაბრუნებული.

ახვერდოვი („გუმეტი“) უსაყვედურებს მთავრობას, რომ მუსულმანთა რაიონებს ყურადღებას არ აქცევს.

მომხსენებელი ნ. ცინცაძე. რიცხვი უმაღლესი დაწყებითი სკოლებისა დაკავშირებულია პირველ დაწყებითი სკოლების რიცხვთან. ტფილისის მაზრაში 60 პირველდაწყებითი სკოლაა. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვსცანით აქ ერთი უმაღლესი დაწყებით სკოლა იქნეს გახსნილი. გორის მაზრაში და ჯავის რაიონში 100 პირველ-დაწყებითი სკოლაა, ხოლო უმაღლესი დაწყებითი—ერთი: აქ უნდა გაიხსნას-—1 და სხვა. როგორც ჰხედავთ ჩვენ ერთი გეგმით ვსარგებლობდით უმაღლესი დაწყებითი სკოლების გახსნის დროს. თუ თიანეთის მაზრაში არ ვხსნით უმაღლეს დაწყებით სკოლას, ეს იმიტომ, რომ იქ არ არის საკმაო რიცხვი პირველ დაწყებითი სკოლებისა: ამას წინად ჩვენ მივიღეთ კანონი 37 პირველდაწყებითი სკოლის გახსნისა და აქ იყო თიანეთის მაზრა. ერთი მოსაზრება, რომელიც აქ მოიყვანეს, ჩემის აზრით, საფუძვლიანია. ბორჯომსა და ნაძალადევში სკოლების გახსნა ქალაქებთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება მუსულმანთა რაიონებს, ეხლახან აქ შეუძლებელია სკოლების გახსნა.

კენჭის ყრის შემდეგ, კანონ-პროექტი უკან უბრუნდება კომისიას.

დახმარება ერობებს.

მომხსენებელი ნ. ცინცაძე (საფინანსო კომისიის წევრი). ყველამ უწყის, თუ რა პირობებში იშვა ჩვენი ერობა. ნორჩ ერობას მთავრობამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ამისათვის შემუშავებულ იქმნა კანონ-პროექტი, რომ გადაიდვას შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 4 მილიონი მანეთი საერობო რეფორმის დაგვირგვინებისათვის. ამაში 500 ათასი მანეთი გადაეცეს საერობო თვითმართველობათა ორგანიზაციისათვის, ხოლო სამ მილიონ ნახევარი ერთი წლის განმავლობაში მიეცეს სამაზრო საერობო თვითმართველობათ სესხად 5 პროცენტის სარგებლის და 12 პროც. პენის გადახდით (პენი პროცენტზედაც ითვლება).

აკ. ფალავა (ს.-ფ.). სოც.-ფედერალისტთა ფრაქციას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ დახმარება აღმოუჩინოს ერობებს. მაგრამ ამავე დროს მას საჭიროდ მიაჩნია საერობო დებულების საკითხი წამოაყენოს.

საერობო დებულება შედგენილია იმ დროს, როდესაც სხვა პირობები იყო. დღევანდელ პირობებს იგი სრულებით არ შეეფერება. საერობო დებულება ხელახლად უნდა იქნეს შედგენილი და დამოუკიდებელ საქართველოს პირობებს შეუფარდდეს ძველი დებულებით უნდა არსებობდეს საგუბერნიო ერობა. ჩვენ ეს არ გვექნება. ხოლო მოწყობილი უნდა იქნეს სოფლის საზოგადოებათა ერობები. ამას გარდა დებულებაში ქ. ტფილისი არც ერთი ერობის ერთეულში არ არის. საჭიროა აგრეთვე მოხდეს ახალი ადმინისტრატიული დანაწილება. რამდენადაც ვიცით, შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე მუშაობა ამისათვის და ჩვენი სურვილით რაც შეიძლება მალა იქნეს ეს დასრულებული.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ კანონპროექტი მიღებულია დ. ონიაშვილის (ს. დ.) შესწორებით: პროცენტი ითვლებოდეს თანხაზე და არა პროცენტზედაც.

საბაჟო გადასახადი.

ი. ლორთქიფანიძის (საფინანსო კომ. წევრი) მოხსენებით მიღებულია კანონ-პროექტი საბაჟო გადასახადების გაგრძელების შესახებ.

მინისტრთა ჯამაგირები.

ნ. ცინცაძის (საფინანსო კომ. წევრი) მოხსენება პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი მინისტრთა და მათი ამხანაგების ჯამაგირების გადიდების შესახებ: ნოემბრის 1-დან მინისტრებს, მათ რიცხვში მინისტრთა თავმჯდომარესა და სახელმწიფოთა კონტროლიორს, ენიშნება თვიურად 3000 მ. მათ ამხანაგებს 2700 მ.

სესხი ტფილისის თვითმართველობას.

მომხსენებელი პ. ქავთარაძე (საფინანსო კომ. წევრი). ქალაქის მიმდინარე ხარჯებმა ძალიან იმატა. ამიტომ იგი თხოულობს სახელმწიფოდან სესხად 4 მილიონ მანეთს 4 წლის ვადით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობის დადგენილებით წარმოადგინა კანონ-პროექტი. საფინანსო კომისიამ კანონ-პროექტი ერთხმად მიიღო.

ს. დადიანი (ს.-ფედ.) პარლამენტის წევრნო! საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი, როდესაც ქალაქები მუდამ შესცქერიან მთავრობას, არ არის დასაშვები. ქალაქი ყოველ ღონეს და ზომას უნდა ხმარობდეს, რომ თავისი შემოსავლით დააკმაყოფილოს თავისი საჭიროებანი და ხარჯები. ევროპაში თითქმის ყველა ქალაქი იცავს ამ დებულებას თუ ქალაქებმა თვითონ არ გამოიჩინეს მომჭირნეობა, შეუძლებელია მათ იარსებონ. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპიალურად ეს ასე უნდა იყოს, დღეობით ქალაქი იძულებული არიან მთავრობას მიმართონ დახმარებისათვის და ჩვენ მომხრე ვართ, რომ მათ მთავრობამ აღმოუჩინოს ეს დახმარება. ჩვენ მხოლოდ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ქალაქის დაწესებულებებში არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც არა თუ ხელს უწყობენ ქალაქის წესიერ ცხოვრებას და ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებას, არამედ საბოტაჟით თუ სხვა საშუალებით ძირს უთხრიან მას. ქალაქს ზნეობრივი უფლება უნდა ჰქონდეს, [illegible] სესხის ასაღებად მიდის. [illegible] ამას მიაქცევს ყურადღებას ჩვენი ფრაქცია.

ნ. ელიავა (ს. დ.) აღნიშნავს, რომ დღევანდელ პირობებში არ მოიძებნება მთელ რუსეთშიაც ქალაქი, რომ შეეძლოს თავისი შემოსავლით არსებობა.

ს. დადიანი (ს.-ფ.) ყოველი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სოც.-ფ. ფრაქცია აცხადებს, რომ მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ქალაქს მიეცეს სესხი. ჩვენ ვითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას და ვამბობთ: მიუხედავად იმისა, რომ პრინციპიალურად ქალაქმა თავის მეურნეობას თვითონ უნდა მოუაროს, დღევანდელი პირობები იმდენად აუტანელია, რომ ქალაქს სესხი მიეცეს. მაგრამ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ყოველ ქალაქს საშუალება არა აქვს მიიღოს სესხი. მაგ., დუშეთის თვითმართველობას აღძრული აქვს შუამდგომლობა, მაგრამ მისი თხოვნა ჯერაც გაურჩეველია.

რ. გაბაშვილი (დამოუკ. ნ.-დ.) დღევანდელ პირობებში ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ ქალაქს სესხი მისცეს მთავრობამ. პირიქით, ჩვენ იმის მომხრეც ვართ, რომ მთავრობამ შეისყიდოს თავისი დედა ქალაქი. ქალაქი უკეთეს პირობებში იმყოფება ვიდრე სახელმწიფო: მას შეუძლია უფრო ადვილად თავისი გადასახადების და შემოსავლის აკრეფა ვიდრე სახელმწიფოს და საკვირველია, რომ ქალაქი მიმართავს სესხისათვის სახელმწიფოს. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ქალაქმა უეკონომიოდ არ ხარჯოს ეს ფული. ჩვენ ვიცით მაგალითად, რომ ტფილის თვითმართველობა ისეთ ზედმეტ ხარჯებს ეწევა, როგორიც არის საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა სამ ენაზე: ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. როდესაც ქალაქების დღევანდელ პირობებზე ლაპარაკობენ, ჩვენს ქალაქს რუსეთის ქალაქებს ადარებენ. რაღა ბარბაროსულ რუსეთს გვადარებთ. თუ შედარებაზეა საქმე, შეადარეთ ევროპის ქალაქებს. ჩვენს ქალაქში ისეთი სიძვირეა ყველაფრის, ჭუჭყი და სიბინძურე, უსინათლობა და ტრამვაის უქონლობა, რომ ყოვლად შეუწყნარებელია. თუ ქალაქს თავი არა აქვს მთავრობამ მაინც მოუაროს.

თ. ღლონტი (ს.-ფ.) აქ ამბობენ ტფილისში სიძვირეა, უსუფთაობა და სხვა... მაგრამ აქ ხომ საერთო მიზეზებია, საერთო პირობები, რომელთაც ეს შექმნეს ყველგან. ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ კრედიტი, რომელიც ქალაქს ეძლევა, მიზანშეწონილად იქმნას გამოყენებული. კრედიტი თუ დღიურ საჭიროებებზე იქმნა დახარჯული, მაშინ მდგომარეობა კვლავ ძველებური დარჩება. საჭიროა ქალაქმა ფართო მუნიციპალური მუშაობა აწარმოოს და კრედიტიც მოახმაროს ამგვარ მუშაობას და არა დღიურ ხარჯებს.

მომხსენებელი პ. ქავთარაძე ჰკითხულობს კანონ-პროექტს მუხლობრივად.

კანონ-პროექტი მიღებულია ერთხმად.

საქართველოს დელეგაცია ევროპაში.

მომხსენებელი პ. ქავთარაძე (საფინანსო კომისიის წევრი). ევროპაში კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება დელეგაცია, რომლის ხარჯების დასაფარავად საჭიროა ხაზინიდან გადაიდვას 1 ნახ. მილიონი მანეთი.

გ. გვაზავა (ნ.-დ.) რასაკვირველია, წინააღმდეგი არავინ იქნება, რომ ეს თანხა გადაიდვას დელეგაციის საჭიროებისათვის. მაგრამ მარტო ფულის მიცემა არ კმარა. სხვა მხრივაც ყოველმხრით უნდა დაეხმაროს მთავრობა დელეგაციას. მე მაგალითად, ხუთი თვის განმავლობაში ვიყავი სტამბოლში დელეგატად და არავითარი კონტაქტი არ მქონია ჩვენს მთავრობასთან. ჩვენი მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობს, რომ ხშირათ იქონიოს კავშირი თავის დელეგაციასთან. ხუთი თვის განმავლობაში ერთი კურიერიც არ მოსულა (დეპუტატთა სკამებიდან: შენ ხომ სოც.-დემოკრატი არ იყავი). საჭიროა ამას მთავრობამ ყურადღება მიაქციოს.

მინისტრი **ნ. რამიშვილი** უპასუხებს გ. გვაზავას და თავის განცვიფრებას გამოსთქვამს, რომ გ. გვაზავა, რომელიც სტამბოლში იყო დელეგატად გაგზავნილი, ასე ცუდად გაეცნო ჩვენ დიპლომატიას და ჩვენს მთავრობას სდებს დამნაშავედ იმაში, რომ სტამბოლსა და ტფილისს შუა კავშირი არ იყო. საქართველოს მთავრობამ ყოველ ზომას მიმართა, რომ პირდაპირი კავშირი ყოფილიყო რადიოთი სტამბოლთან, მაგრამ ეს ოსმალოთა წყალობით შეუძლებელი შეიქნა.

მუხლობრივად წაკითხვის შემდეგ კანონ-პროექტი მიღებულია.

რ. გაბაშვილის შეკითხვა.

დასასრულ განსახილველია რ. გაბაშვილის შეკითხვა მთავრობისადმი—ვერის და სხვა ხიდების აფეთქების შესახებ.

ავტორი ხსნის თავის შეკითხვას.

კრება იხურება 2 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘ

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდის რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერ-კავკასია.

„დარჩნენ რა თავისის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშვალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ **აცხადებს:**

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა— დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს გაურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲗ

ექვსი თვე შესრულდა, მხოლოდ ექვსი თვე. იგი წამია ერთი ქვეყნიერების სრბოლაში, ისტორია მხოლოდ ერთს თვალს გადაავლებს მას, ჩვენი მოდგმის ათასწლოვან და ათასფეროვან თავგადასავლის მანძილზე ერთ წერტილად გამოჩნდება მარტო.

მაგრამ ჩვენთვის, დღევანდელებისთვის ეს მთელი სიცოცხლეა, საუკუნეა, საუკუნეთა საუკუნე. ჩვენ დავიბადენით იმისთვის, რომ ეს დღე გვეხილა. ჩვენი დიდები სიმწარით გვზრდიდნენ და უნეტარეს გრძნობას განიცდიდნენ ჩვენი ნაკვთების რხევაში, რომ ამ ჟამისთვის განვემზადებითო. ჩვენი მამები ყოველს ტკივილსა და სიავეს დასძლევდენ შეუდრეკლად და წინ მიისწრაფოდენ მხოლოდ ერთად ერთის რწმენით, რომ დღევანდელი დღე გაგვითენდებოდა. თაობა თაობას მისდევდა ამის მოლოდინში. მშობლიური ცა დაგვკაშკაშებდა და მზის სხივები გვასულდგმულებდენ ხალისით, რომ ამას მოვესწრებოდით.

ჩვენს არსებობას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა, ერთისკენ მივისწრაფოდით მეტის თუ ნაკლების შეგნებით, ერთის თვის ვიყავით თავდადებულნი, უშიშარნი, ერთისთვის ვეწამენით და წარბ-შეუხრელად ავდიოდით სახრჩობელაზე, რომ ეს მოგვეპოვებინა, ეს გამოგვეგლიჯა მტრის ხელთაგან, ამას ვზიარებოდით.

და შესრულდა ყოველივე, ამდენი ხნის წამებასა, ნაღველსა და სისხლში შობილი და დანათლული ფიქრი საქმედ იქცა და საქართველო დამოუკიდებელია, ქართველი ერი თავისუფალია, ჩვენ არავის არ ვეკუთვნით, თავის უფალი თითონა ვართ! განა შეიძლება იყოს ამაზე უმაღლესი და უძლიერესი სხვა რამე ბედნიერება? ეს ყველაფერია, ამის გარეშე არა რაა, და ექვსი თვე თავისუფლებისა განა მეტი არაა, ვიდრე ექვსი საუკუნე მონობისა და ტყვეობისა?..

ექვსი თვე წამია მარადისობისათვის, მაგრამ შეიძლება ეს ექვსი თვე გამარადისდეს, იგი ჩაექსოვოს მარადიულობას და მაშინ წამი ისევე წარუვალია, ვით ჟამი დასაბამიდან დასასრულამდე, ისე დაუსრულებელია ვით ისტორია და უკვდავია, ვით ერი!

თავისუფლება დღევანდელი საქართველოსი განა მხოლოდ დღევანდელი ქართველებისათვისაა? განა ვეწამენით მხოლოდ ჩვენ, რომელთაც ვიხილეთ ეს წამება, და განთავისუფლებას ვიტკბობთ მხოლოდ ისინი, რომელნიც ამ თავისუფლებას მოვესწარით? განა ქართველი ერი მხოლოდ ჩვენა ვართ, ჩვენ ვიყავით და ჩვენ ვიქნებით? განა ჩვენ დღევანდელები მარტო ერთი ნაწილი არა ვართ იმ დიადი უკვდავი სხეულისა და არსების, რომელსაც ქართველი ერი ეწოდება და რომელიც არა არის მარტოოდენ, არამედ იყო და იქნება? განა ჩვენი სუნთქვა, ბრძოლა, სიხარული, მისწრაფება, გამარჯვება განეკვეთება იმ ერთეულს, რომელსაც წარმოადგენს მთელი ქართველი ერის სიცოცხლე, მისი კულტურა?

აი სწორედ სიდიადე დღევანდელი დღისა, სიდიადე ჩვენის განთავისუფლებისა და აღდგენის, სიდიადე ამის განცდისა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ დღეს უძლიერესად უნდა ვიგრძნოთ მთლიანობა ჩვენი ეროვნების, მთელი მისი წარსული, აწმყო და მომავალი, უნდა განვიცადოთ ერთ განუკვეთელ სხეულად. ჩვენი ბედნიერება არ უნდა იყოს მარტო დღევანდელების ბედნიერება. უნდა დავეწაფოთ ყოფილსა და მყოფადს. ჩვენში უნდა ამეტყველდნენ გარდასულებიც და მომავლებიც. ჩვენს სისხლში უნდა ამოძრავდეს სიცოცხლე მთელი მოდგმის თავგადასავლისა და მთელი ენერგია, იმედი და წინასწარი აღტყინება მომავალი თაობათა. დღეს უნდა ვიგრძნოთ თავი ერად ისე, როგორც არასოდეს, ერად, რომელიც იყო, არის და იქნება, მთელი არსებით, უიდუმალეს ზრახვით და სულიერის ნაკვთით უნდა აღვადგინოთ სრული შეგნება ეროვნულის განუკვეთელობისა და მარადიულის არსებობისა.

ეს უნდა გვითხრას ყოვლის მეტად დღევანდელმა სიხარულმა. ჩვენი ბედნიერება უნდა გადაწვდეს გარდასულისაც და მომავლისაც, სხივი მიჰფინოს წყვდიადს და გაგვინათოს მძლავრის შუქით სავალი გზა მერმისისა.

და თუ ეს შევძელით, თუ ამ სიმაღლემდე ავედით, მაშინ თამამად ვიტყვით, რომ განვლილი ექვსი თვე ჩვენის თავისუფლებისა არაა მხოლოდ წამი. იგი განცდაა მთელი ერის, გამოხატულებაა მთელი მისი არსებობისა, აღდგენა მისი მთლიანობის, განუკვეთელობის, და მოქმედობს საუკუნეთა სივრცეზე. იგი მარადისია და უკვდავი.

ქართველი ერი აღსდგა მომავალ საუკუნეთა საუკუნეთათვის. მის ბუნებაში ამოძრავდა მთელი ის ძალა და შემოქმედება, რომელიც განამზადეს ათას წელთა თავგაწირულმა ბრძოლამ და მოღვაწეობამ...

ხამ. ფირცხალავა.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ნახევარმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თავისუფალის ცხოვრებით სცხოვრობს, რამდენადაც კი შესაძლებელია თავისუფლება დღევანდელ გართულებულ საერთაშორისო პირობებში. ზევიდან რომ გადავავლოთ თვალი განვლილ ნახევარ წელიწადს დამოუკიდებლად არსებობისას, ერთს უტყუარ ფაქტს აღმოვაჩენთ: დემოკრატიის შინაგანმა ძალმა წარმოშვა ეს დამოუკიდებლობა და იმავე დემოკრატიის შინაგანი ძალების განვითარებით შესაძლებელი გახდა შედარებითი განმტკიცება ჩვენი სახელმწიფოებრივობისა. გადავავლოთ თვალი მახლობელ წარსულს. უეჭველია ჯერ კიდევ ბევრს უდგას თვალწინ შავი ჩრდილი იმ ანარქიისა, რომელიც გაბოლშევიკებული რუსის ჯარისკაცები სტიქიურმა დემობილიზაციამ გამოიწვია. ყოველ წუთს ეს ბრბო მზად იყო შემოესეოდა საქართველოს დედა-ქალაქ ტფილისს, აეოხრებინა იგი, როგორც სხვა ქალაქები აოხრა და სამოქალაქო ომის ალში გახვია ჩვენი ქვეყანა. მაგრამ დემოკრატიამ, მისმა მწყობრმა დარაზმვამ ეს საშინელი უბედურება თავიდან აიცილა საქართველოს და გზა გაუკაფა უფლებრივი რესპუბლიკანური წესწყობილების დამყარებას. ჯერ კიდევ ამ იარების განკურნვა არ დაესრულებინა საქართველოს დემოკრატიას, რომ ჩვენს წინ ახალი, უფრო დიდი საფრთხე აღიმართა; საფრთხე ოსმალეთის ურდოების შემოსევისა. დაშლილი სახელმწიფოებრივი და სამხედრო ორგანიზაცია შეუძლებლად ჰხდიდა თავის დაცვას გაგრძელებას საკუთარის ძალღონით. ყველას ახსოვს შავ ბნელი დღეები ბათომის დაცემისა, ოსმალთა ასკერების თარეში გურიაში და ბორჩალოში: აი სწორედ ამ საბედისწერო ჟამს საქართველომ გერმანიას სთხოვა დახმარება, დახმარება, რომელიც განსაკუთრებით ოსმალეთის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. გერმანიამ პირ ნათლად შეასრულა თავისი ვალდებულება. საქართველოს სოციალ-დემოკრატია თავის მემორანდუმში, რომლითაც ინტერნაციონალის ბიუროს მიჰმართა, აღნიშნავს, რომ გერმანიამ კეთილ-სინიდისიერად შეასრულა მიღებული ვალდებულება და თავისი ძლიერება საქართველოს საწინააღმდეგოდ არ გამოიყენა, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს არის აზრი არა მარტო სოციალ-დემოკრატიისა, არამედ მთელი ქართველი ხალხისა. მაგრამ დღეს, ჩვენი დამოუკიდებლობის ნახევარი წლის შემდეგ, მარტო ეს გარემოება არ არის აღსანიშნავი. ჩვენ დღეს მთელს ქვეყანას შეგვიძლიან ასევე თამამად განვუცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობას არც ერთი გერმანელი ხალდათი არ მოუხმარია შინაური სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების აღსადგენად. მაშინ, როდესაც თითქმის მთელი რუსეთი ანარქიის ცეცხლში იყო გახვეული, მაშინ, როდესაც ბევრს ადგილას გერმანიისა და ავსტრიის ჯარი იძულებული ჰხდებოდა აქტიურად ჩარეულიყო წესიერების დამყარების საქმეში, აქ, საქართველოში, არც ერთი გერმანული ტყვია არ გასროლილა წესიერების დასამყარებლად. ჩვენმა ხალხმა თავის საკუთარ წიაღში ჰპოვა საკმაო ძალა როგორც წესიერების აღსადგენათ, ისე დადებით სააღმშენებლო სახელმწიფოებრივი მუშაობისთვის. ამის უარჰყოფა ვერ შეუძლიან ვერავის, ვისაც კი თვალ ყური უდევნებია ჩვენი ცხოვრებისთვის, ამას ვერ უარჰყოფენ თვით ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებიც კი, იყო შემთხვევები აჯანყებისა, მაგრამ ძალიან მალე გამოირკვა, რომ ეს აჯანყებანი მოწყობილი იყო საქართველოს მტრების მიერ. როდესაც ხალხის მოტყუებით ვერაფერს გახდნენ, ხიდების აფეთქება დაიწყეს, რომ ამნაირი საშუალებით მაინც შექმნათ ილიუზია, რომ საქართველოს თავისი საკუთარი ძალ-ღონით ვერ შეუძლიან წესიერების დამყარება. მაგრამ ამ მუხანათური საქციელითაც ვერაფერს გახდნენ. აქაც გამარჯვებული საქართველოს დემოკრატია გამოვიდა.

უდიდესი ღირსება საქართველოს დამოუკიდებლობისა სწორედ ის არის, რომ მან გამოაშკარავა და ცხადჰყო შემოქმედებითი უნარი და ძალა დემოკრატიისა. ეს ისეთი განძია, რომელიც იმედს გვაძლევს, რომ მომავალშიაც სანამ ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დემოკრატია უდგას დარაჯად, საქართველო გასცილდება სცილასა და ხარიბდას და თავის ნავს მშვიდობიანად მიიყვანს ნეტარ ნავთსაყუდელამდე.

ჩვენ არავითარი გარეშე ძალა არ დაგვჭირებია სახელმწიფოს შესაქმნელად და არც შემდეგში დაგვჭირდება ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ჩვენი ხალხის გულის სიღრმეში დაგროვილია დიდი სასიცოცხლო ენერგია, რომლის ჩაკვლა ვერავითარ ძალას ვერ შეუძლიან.

ნახევარი წელიწადია საქართველო დამოუკიდებელის ცხოვრებითა სცხოვრობს და ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი საქმის გაკეთება მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ ათასნაირი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობებოდა. მან შესძლო და აღადგინა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, მოაწყო ადმინისტრაცია. სასამართლო, ჯარი, საკანტროლო ორგანიზაცია; მან საფუძველი ჩაუყარა აგრარულ რეფორმას, რომელიც დღეს აჩქარებულის ტემპით ხორციელდება; შემოიღო საერობო თვითმართველობანი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა უნივერსიტეტს. ერთის სიტყვით, უდიდესი რღვევისა და ნგრევის ხანაში საქართველოს ერთს წუთსაც არ აუღია ხელი შემოქმედებითი, დადებითი მუშაობისთვის, ერთს წუთსაც კი არ დაუნებებია თავი სააღმშენებლო მუშაობისთვის. შედეგები ყველასათვის თვალსაჩინოა. რა თქმა უნდა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ჯერ კიდევ დიდი შრომა უნდა დაიხარჯოს სახელმწიფოებრივი აპარატის განსამტკიცებლად. მაგრამ ყველაფერი ის. რაც გაკეთდა, სრულს იმედს გვაძლევს იმისას, რომ საქართველო დასძლევს ყოველნაირ დაბრკოლებებს და განამტკიცებს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

117 წელიწადი მონობის უღელი გვედო კისერზე. 117 წელიწადი ქართველი ხალხი ხელ ფეხ შებორკილი ეგდო რუსეთის უსინდისო მოხელეებისა და ჟანდარმების ფერხთა წინაშე 117 წელიწადი შებორკილი იყო ჩვენი სხეული, ჩვენი სული, ჩვენი ნებისყოფა, 117 წელიწადი მათრახებითა, ციხეებითა და სახრჩობელით უმასპინძლდებოდნენ თავისუფლებისთვის მებრძოლთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში დახშობილი გვქონდა ასპარეზი თავისუფალი კულტურული განვითარებისა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველი თავის საკუთარ სამშობლოში, თავის საკუთარ საყვარელ მიწა-წყალზე პირუტყვად იყო მიჩნეული, რომელიც თითქოს იმიტომ იყო გაჩენილი, რომ თავისი ძვლებითა, სისხლითა და ცრემლით სხვების კეთილდღეობისთვის გაეპოხიერებინათ ნიადაგი.

მაგრამ განვლო ამ შავ-ბნელმა დრომ! სამარცხვინო მონობისა და პირუტყვული არსებობის ხანა შთანთქა რუსეთის ნანგრევებში. ისტორიულმა ნემეზიდამ პასუხი მოსთხოვა იმათ, ვინც ჩვენს სისხლსა სწოვდა 117 წლის განმავლობაში, ვინც ჩვენს უბედურობასა და მწუხარებაზე თავის ბედნიერებასა და სიხარულს აშენებდა.

დღეს საქართველო თავისუფალია. ნახევარმა წელიწადმა უსარგებლოდ და უნაყოფოდ არ ჩაიარა. გასვლილმა ნახევარმა წელიწადმა ქართველ ხალხს შეაყვარა თავისუფლება, შეაყვარა დამოუკიდებლობა: ამის შემდეგ იგი უფრო მტკიცე ნაბიჯით ივლის, უფრო მეტს მხნეობას გამოიჩენს და ამაყად ყელ მოღერებული გასწევს საერთო საკაცობრიო იდეალებისკენ, სხვებთან ერთად და სხვებთან თანასწორად.

არ. ჯ. ჯანაშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ.

თანამედროვე ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ წესწყობილებაში სახელმწიფოთა შორის ერთად ერთი საშუალება ურთიერთობისა ზარბაზნების ჭექა-ქუხილია და ყოველი ლუკმა თანამედროვე ადამიანისა ადამიანისავე სისხლშია ამოვლებული.

ანარქიული წესი წარმოებისა და უთავბოლო განაწილება შექმნილი სიმდიდრისა მოსისხლე მტრებად რაზმავს საზოგადოებათ და ერებს. კონკურენცია ყველა ქვეყნის ბურჟუაზიისა ერთიმეორეში სთიშავს კაცობრიობას კლასობრივობის გარდა აგრეთვე სახელმწიფოებრივი საზღვრებს მიხედვითაც, რომელთა ნორმალური ურთიერთობა ბრძოლის, სიძულვილი და ომი მდგომარეობაა

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია ერთი აზრით, ერთი მიზნით იყო გატაცებული და გამხეცებული ამ უმაგალითო საერთაშორისო ომის დროს: ყველა ცდილობდა და თავის ღმერთს ევედრებოდა, რათა დაეძლია მეორე, გაენადგურებინა მისი კულტურა, მრეწველობა, ქვეყანა, დაემორჩილებინა სხვა ერი და სხვა სახელმწიფო, რომ ფართო ასპარეზი მისცემოდა მეტი ექსპლოატაციისათვის და სხვათა სისხლის საწუწნელად.

მას შემდეგ, რაც კაცობრიობა ამ კლასებად დაიყო; რაც ერთმა კლასმა მიითვისა ყოველივე და მეორე კლასზე გაბატონდა, სწარმოებს განუწყვეტელი ბრძოლა ამ კლასთა. კლასი, რომელიც სხვისი ოფლით და სისხლით საზრდოობს, ამტკიცებს არსებულს მონობას და ძალმომრეობას და მეორე მხრით კი მშრომელთა და დამონებულთა კლასი ებრძვის ამ არსებულს სინამდვილეს. მას სურს ძირიანად დაანგრიოს ეს არსებული მონობა და სულ ახალ საფუძველზე ააშენოს კაცობრიობის ბედნიერება, მოსპოს ბატონობა და მონობა კაცთა შორის და ერთა შორის.

კულტურულად უკან ჩამორჩენილმა რუსეთმა ორ წელსაც ვერ გაუძლო ევროპაში ამოვარდნილ გრიგალს და დაინგრა რუსეთის უორგანიზაციო ბურჟუაზიამ ვერ მოასწრო ხალხის თვალის აბმა, მან ვერ განამტკიცა ილლიუზიები ბედნიერებისა, ვერ დაარწმუნა ხალხი, რომ ბურჟუაზიაა ქვეყნის მარილი, რომ იგია ქვეყნის ბურჯი და თუმცა ხალხის ჩათრევა კი მოახერხა ომში, მაგრამ მისი უძლურება მალე გამოაშკარავდა, იგი ერთობ მალე გატიტვლდა და ხალხმაც ზურგი აქცია.

ერთობ ახლოს იყო უფრო დაწინაურებული ევროპა, ძლიერი ბურჟუაზია სხვა ქვეყნებისა რუსეთის აზიურ-ტატარულ სახელმწიფოსთან; ერთობ მომწიფებული იყო ევროპა ახალი ცხო[illegible]რებისათვის და, რადგანაც რუსეთ[illegible] შინაგანი კავშირი მტკიცე არ იყო, ი[illegible] სხვებზე ადრე დაინგრა, აქ სხვებზე ადრე იფეთქა რევოლიუციის განმწმენდის ცეცხლმა.

რუსეთის სახელმწიფოებრიობის ნგრევა აგრეთვე უფრო იმ თავისებურმა მდგომარეობამ და მოვლენამ დააჩქარა, რომელსაც ეროვნული საკითხი ჰქვია და რომელიც მწიფდებოდა და იზრდებოდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში.

ძველი ტიპის მთლიანი სახელმწიფოთა არსებობის დღეები რომ დათვლილი

იყო, ეს ჩვენ დიდი ხანია გამოსწვრეტილი გვქონდა. ჩვენ ვიცოდით, რომ მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა არსებულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია ნაციონალურს ნიადაგზე შეირყვა უცხო ელემენტთა აღრევით, სახელმწიფოებრივობას უნდა მიეღებინა ახალი ფორმა, რომ სრულიად არ დაშლილიყო. ძალადობაზე და ხიშტებზე დაყრდნობა მუდმივად შეუძლებელია, თუ ერთმანეთისათვის უცხო ელემენტებს რაიმე ორგანიული კავშირი არა აქვთ.

ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებს შეგნებული გვქონდა, რომ რევოლუცია უეჭველად დაანგრევდა რუსეთს, დაშლიდა მას და მის ნანგრევებზე უეჭველად ცალცალკე პატარა ნაციონალური სახელმწიფოები აღმოცენდებოდნენ, ვინაიდან ჩვენ ვამჩნევდით, რომ ცენტრით მირბოლი ძალები სჭარბობდნენ ცენტრად მსწრაფ ძალებს.

ასეც მოხდა. ჩვენ მართალნი გამოვდექით.

ჩვენ სხვა ამგვარივე მრავალტომოვან სახელმწიფოებსაც უწინასწარმეტყველეთ ასეთივე ბედი. ჩვენ ვიცოდით, რომ ავსტრია-უნგრეთიც მხოლოდ გერმანიის ძლიერებით არსებობდა.

და აქაც მართალნი გამოვდექით. ავსტრია-უნგრეთიც დაინგრა, ვინაიდან ერები ვერ დააკმაყოფილა, ეროვნული საკითხი ვერ გადასწყვიტა.

დღეს ევროპა ნაციონალურ სახელმწიფოთა შექმნისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ევროპა ამ წერტილზე ვერ შეჩერდება და შეიძლება ჩვენმა თაობამაც კი იხილოს ევროპის დიდი თავისუფალი ფედერაცია.

კულტუროსან ხალხთა ურთიერთობა ჩვენ მხოლოდ ამ სახით წარმოგვიდგენია და ჩვენი დამოუკიდებელი საქართველოც უნდა შეიქნეს ერთი თანასწორი წევრი თავისუფალ ერთა კავშირისა

რევოლუციის მეოხებით ჩვენ თავი დავაღწიეთ საუკუნოებრივს მონობას. დიდი შინაგანი ბრძოლით და ტანჯვით ჩვენ თანდათან მივაღწიეთ აღნიშნულს ახლობელს მიზანს; ექვსი თვეა, რაც ვიღვწით ამ მონაპოვარის განმტკიცება-გამაგრებისათვის და თუ ომიანობის ცეცხლმა ვერ დასწვა ჩვენი ნორჩი ფრთები, ამას იქით მეტი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი ხალხთა სამსჯავროც აღიარებს ჩვენს ღვაწლს თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ჩვენც კუთვნილს ადგილს დავიჭერთ ხალხთა შორის. განსაცდელთა ხლართი ჯერ კიდევ სრულიად არ მოგვიშორებია, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით ეს განსაცდელი დღეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დღევანდლამდე იყო.

ყოვლის უწინარეს ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ ვერც ერთი გამარჯვებული ძალა ვერ იკისრებს შურისძიებას არა თუ ისეთს ქვეყნებზე და ერზე, რომელმაც მონობას თავი დააღწია, არამედ თვით იმათზე, რომელიც დღეს გამარჯვებულს ინგლისს პირისპირ უდგა და სისხლიდან სწურავდა.

დღეს მთელ კულტურულს ქვეყნიერებაში გაისმის ძლიერი ხმა სამართლიანობის აღდგენისათვის, დღეს უკვე ყველა ერში და სახელმწიფოში თვით ხალხი სწყვეტს საქვეყნო საკითხებს და ხალხი, შეგნებული დემოკრატია ძალმომრეობას და უსამართლობას ვერასოდეს იკისრებს. ჩვენ სრულიადაც არ უნდა გვეშინოდეს გამარჯვებული ინგლისისა, ვინაიდან იქ, სადაც ჩვენ მოგვაგონდება მისი პოლიტიკა ირლანდიისა და ბურების მიმართ, არც ის პოლიტიკა უნდა დაგვავიწყდეს, რომელსაც იგი ადგას თავის შორეულს ახალშენებში.

იმის გარდა, რომ ინგლისის ხალხი ერთობ შეზრდილია დემოკრატიულს იდეებთან, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ერთობ შორსაა იგი ჩვენგან, რომ მან მოინდომოს ჩვენს თავისუფლებას მტრულად მოევლინოს და ჩვენს შინაურ საქმეებს წაეპოტინოს.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გერმანელებს აყვედრიდა მთელი ქვეყანა ძალმომრეობას, პატარა ერთა უფლებების შელახვას და გათელვას და ახლა, როდესაც ინგლისია გამარჯვებული იგი ვერ ჩაიდენს იმას, რასაც სხვას უძრახავდა.

რუსეთის გაერთიანება არავითარს ძალას არ ძალუძს იმ სახით როგორც იგი არსებობდა, რადგანაც ფორმა იგი დრომოჭმულია, ისტორიულად მოძველებულია და ცდა ისტორიის ბორბლის უკან მოტრიალებისა ყველას ფუჭად ჩაუვლის. მოდის საუკუნე ეროვნებათა საუკუნეა, მათი თავისუფლების და კულტურულად აღორძინების საუკუნეა და „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საწყნელა არ იქნების“. ინგლისი არ მოისურვებს უხეშ ძალით მოეპყრას დემოკრატიულ ნეიტრალურს სახელმწიფოს საქართველოს, რომელსაც საუკუნეობით უძველესი, თავისებური კულტურა შეუქმნია და თავისი არსებობა მეოცე საუკუნემდე მოუტანია!

ამიტომაც ფუჭ იმედებად უნდა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის შემრყეველ მტერთა იმედები, რომ ინგლისი მოვა და ქართველ ხალხს ისევ დაადგამს რევოლუციით მოხსნით გადაგდებულს უღელს მონობისასა.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს უკეთეს მდგომარეობად, ვიდრე იმის ორომტრიალში იყო, ვიდრე დღემდე იყო ამ მხრით მთელი ექვსი თვის ღვაწლი ჩვენი მთავრობის უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს.

რად ვეტრფოდით ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები მუდამ ჩვენი ერის სუვერენობის აღდგენას? ჩვენი რწმენა იყო და არის, რომ როდესაც ერი თავის ბუნებრივს კალაპოტშია ჩაყენებული და გზა ხსნილი აქვს თავისუფალ შემოქმედებისათვის, იგი მით უფრო სწრაფად და მტკიცედ განავითარებს თავის შემოქმედს ძალებს, დაწინაურდება კულტურის გზაზე და ღირსა გახდება სხვა კულტუროსანს ერებს გვერდში ამოუდგეს.

ჩვენ, როგორც სოციალისტებს მუდამ გვწამდა, რომ მომავალი კაცობრიობისა სოციალისტური წეს-წყობილებაა და ის, თავისუფალი ერი უფრო მტკიცედ ივლიდა და უფრო ადვილად მიაღწევდა ამ აუცილებელს მომავალს.

როდესაც ისტორიის ნებანდობამ ჩვენს ერს მიანიჭა ეს თავისუფლება და დღეს არ არსებობს გარეშე ძალა, რომელიც მას ემუქრებოდეს, ჩვენს მთავრობას წინ ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი ჩვენი ხალხის შინაური ცხოვრების მოწყობისათვის. რევოლუციამ ამ მხრივაც ჩვენ ბევრი განძი დაგვიტოვა, ბევრი უდიდესი საკითხებია ჩვენს წინაშე სოციალური ხასიათისა, და ეს არის ჩვენი ერის მთავარი ბურჯის მიწის მუშის საჭიროებათა დაკმაყოფილება. აქ მარტებს მთავრობას და პარლამენტს მტკიცე და გაბედული ნაბიჯების გადადგმა და მაშინ სიყვარული და ერთგულება ჩვენი ხალხისა უზრუნველყოფილია.

მაშასადამე აქაც ჩვენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი ჩვენი ნაბიჯი უნდა გაშუქებული იყოს ჩვენი იდეალის, სოციალიზმის ბრწყინვალე სხივებით, რომ თანდათან შევამზადოთ ნიადაგი სოციალისტური წესწყობილებისათვის, რომელსაც ყოველი დღე უფრო და უფრო გვიახლოვებს. ექვსი თვე ვიარსებეთ საკუთარის ძალებით, ექვსი თვე ვიღწოდით ჩვენი სუვერენობის განსამტკიცებლად და ამ ნგრევისა და რღვევის ხანაში წესიერი არსებობა შევინარჩუნეთ. დღეს ჩვენ მაგრა ვდგევართ საკუთარს ფეხებზე და ეს გვაძლევს იმედს ბრწყინვალე მომავლისას.

მაშ წინ, შეგნებისაკენ!

ს. დადიანი.

ქართლი ერთობილი

დიდი მოვლენების დასაფასებლად მიუდგომლობის გარდა ისტორიული პერსპექტივაა საჭირო. შორიდან უფრო ნათლად გამოჩნდება ჩვენთვის სიდიადე იმ აქტისა, რომელიც მაისის 26 მოხდა. დროთა განმავლობაში ვნება დაცხრება. წვრილმანი დაგვავიწყდება და მაშინ დავინახავთ მთელს და მშვენიერს სურათს ერის მკვდრეთით აღდგომისას.

ექვსი თვე! წუთია იგი ერის ცხოვრებაში, რომელსაც ათასი წლები მკიდია ზურგზე. მაგრამ განვლილი ექვსი თვე სხვას არა ჰგავდა. ჯერ კიდევ გუშინდელ დღით ვცხოვრობთ და არ შეგვიძლიან შევაფასოთ ღირსეულად ყველაფერი, მაგრამ ერთს ვიტყვით: ჩვენი ახლობელი წარსული საწინდარია საქართველოს ბრწყინვალე მომავლისა, იგი დამამტკიცებელია იმისა, რომ ქართველი ერის გულის შორეულ კუნჭულში მიფარებული ყოფილა თავისუფლების ნაკვერჩხალი და აი, იგი დღეს გაღვივებულია. საქართველო, დამოუკიდებელი საქართველო სცოცხლობს და ბობოქრობს, შრომობს და იღვწის თავის ჩამქრალ კერის ხელახლად გაღვივებისთვის. რა მშვენიერია სიცოცხლე მკვდრეთით აღდგომითთავის!

ჩვენ ამირანისებური ნაბიჯი გადავსდგით და რამდენისამე წელში საუკუნეთა საქმე გავაკეთეთ. ამ ოცი წლის წინად ერი და საქართველო ჩვენი ხალხის შეგნებისათვის უცნობი რამ იყო. რამდენი ბრძოლა გასწია ჩვენმა პარტიამ ეროვნული გათვითცნობიერებისთვის და როგორ პატრუქივით დაიწვა ამის გამო ჩვენი არჩილი სამშობლოს საკურთხეველზე!

მაგონდება კიდევ 1910 წელს გამოსული წიგნი მის წერეთლისა: „ერი და კაცობრიობა“. წიგნი, დაწერილი ვაჟკაცური ცრემლით და ფაქიზი ნერვების წვენით. როგორი მიყვარდა იგი და როგორ ვისვენებდი სულიერად, როდესაც მას ვკითხულობდი. და იცით, რას ამტკიცებდა იგი ამ რვა წლის წინად? ერი არსებობს, უნდა იარსებოს და ქართველობამაც უნდა იბრძოლოს თავისუფლებისათვისაო! მაშინ ამას მტკიცება უნდოდა, მაშინ ამას მოწინააღმდეგენი ჰყავდა. რვა წლის წინად ჩვენ იძულებულნი ვიყავით მთელი ტომები გვეწერნა ამ უდაო ჭეშმარიტების გამო!

წარმოგიდგენიათ მსგავსი რამ დღეს? ბევრი მისთანა წიგნი დაძველდა. ცხოვრებამ ოცნებას გადააჭარბა, წინ გაუსწრო და ეხლა, აქ თუნდა ამ ერთი წლის წინად—უკვე ანაქრონიზმია ამაზე ლაპარაკი. დღეს გაერთიანებული საქართველო მტკიცე დარაჯად სდგას დამოუკიდებლობის პოსტზე.

ქართველმა ერმა განსაცდელის ჟამს, საერთო საქმეში გამოიჩინა იშვიათი ერთსულოვნობა და შედუღება თავის ძალებისა. იყო მე და არ ყოფილა ჩვენ. სულ მოკლე ხანში დაუახლოვდით და ვიგრძენით, რომ ყველანი ერთი ოჯახის, ერთი დედ-მამის შვილები ვართ. მეთორმეტე საუკუნის დამლევს გაწყვეტილი ჰანგი ცნობიერებისა—ეხლა გავამთელეთ და ეხლ ჩვენ ვართ, თქვენ, ისინი, მთელი საქართველო

ამ ექვსი თვის განმავლობაში აგურ-აგურ ავაშენეთ შენობა, რომელიც ამაყად სდგას მსოფლიო ზღვის აზვირთებულ ტალღების წინაშე. ქართველმა ერმა უკვე იგრძნო, იგემა სიტკბოება თავისუფლებისა და თავისი ცხოვრებაც კალაპოტში ჩააყენა, შინაური სიმტკიცე შექმნა. ქართლი ერთობილი! უკვე დაგვიდგა ეს სანატრელი ჟამი. მთელი შეგნებული საქართველო არის მისი დროშის სისხლით, იარაღით, საკუთარის სიცოცხლით დამცველი. ქართველი მშრომელი ხალხია საქართველოს სახელმწიფოს კალატოზი. მკვიდრი იქნება და მტკიცე მისი მარჯვენით აგებული შენობა.

მაგრამ კიდევ დიდი შემოქმედებითი ენერგია გვჭირია შენობის დასამთავრებლად, კიდევ ბევრი შრომა გვინდა მონაპოვარის გასამშვენიერებლად. ჩვენი წინაპარნი მეთორმეტე საუკუნეში იტყოდნენ: საქართველოს გაძლიერებისათვის, საზღვრების განმტკიცებისათვის, ქრისტიანეთა დაწყნარებისათვის—უფლისა მიმართ ვილოცოთო.

მეოცე საუკუნეში ჩვენ ლოცვა აღარ გვიცით. ჩვენი ლოცვა შრომაა.

ვიშრომოთ საქართველოს განმტკიცებისათვის, ვიშრომოთ მის გაძლიერებისათვის, ვიშრომოთ დიდმა თუ პატარამ, ვიშრომოთ ქართლმა ერთობილმა გვახსოვდეს, მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსისხლოდ-უვაჭრელად.

ქ. რაშველიშვილი.

წითელი პარადი.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის, ამ მღელვარე, წადილთა ხანის შესახებ, გოეთე სწერდა:—„იმ ეპოხას, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობდით, შეიძლება მოთხოვნილებათა ეპოხა ეწოდოთ, რადგან მაშინ ჩვენგანაც სხვებისაგანაც მოვითხოვდით იმას, რაც არავის არ მოექმედნა... ბუნების და თავისუფლების სული, ყოველ ჩვენგანს ტკბილად ეჩურჩულებოდა, რომ არ არის საჭირო გარეშე ძალთა დიდი დახმარება, რომ თვით ჩვენა გვაქვს საკმაო შინაგანი მასალა და შინაარსი, საჭიროა მხოლოდ მათი განვითარებაო“. რა კარგა ახასიათებენ ეს სიტყვები ჩვენ მიერ განვლილ მღელვარე წადილთა ხანასაც. რუსეთის რევოლუციაც ხომ მართლა მოთხოვნილებათა ეპოხა იყო, იმ მოთხოვნილებების, რომელთა განხორციელებაც თვით ჩვენ უნდა გვეკისრა ხოლო ყველაზე დიდი საწადელი ეს ეროვნული განთავისუფლება იყო, რომელზედაც გაფანტულად და ფარულად ოცნებობდა შეკოწიწებული რუსეთი რუსების გარდა. და ამ საწადელს თითქმის ყველა ერმა მიაღწია. რუსეთის ციხე-სახელმწიფოში მომწყვდეულმა ყველა ერმა მიაღწია. რუსეთის ციხე-სახელმწიფოში მომწყვდეულმა ყველა ერმა მოასწრო და სთქვა თავისი თავისუფალი სიტყვა.

მაგრამ ყველა ამ სიტყვაში მაინც ჩანდა ტრაგიკული პათოსი.

არც ერთ ერს არ სჯეროდა უმტკივნეულო განთავისუფლება.

აქა იქ ისმოდა კიდეც ბუნდოვანი წინათგრძნობა.

მხოლოდ საქართველო არ იზიარებს დამარცხებულ ძმათა ხვედრს, და იმ დროს, როდესაც მთელ ყოფილ რუსეთის სივრცეზე წითელი და შავი ფერები ჰკვეთავენ ერთმანეთს, როდესაც შავი ლანდები ირევიან მის მიდამოზე, იმ დროს საქართველოში თავისუფლების შტანდარტი უფრო ზევით იწევს, ქართველი ერი კი პარადს ჰმართავს.

დიახ, დღეს საქართველოს პარადია. დღეს ქართველი ერის თავისუფლების სადღესასწაულო ალლუმია.

წითელი პარადი.

დღეს საქართველო ძალებს დაითვლის, რომ იმედიანად გახედოს მზიან მომავალს. ეს ძალების დათვლა საჭიროა. ქართველ ერს ბევრი პოლიტიკური მტერი ჰყავს. მაგრამ ის ერთად ერთი მეგობარი, რომელიც ჰყავს საქართველოს, ყველა მტერს გაუძლებს. ეს მეგობარი—მშრომელი ხალხია. დიახ საქართველო და მისი მშრომელი ხალხი ვერ დამარცხდებიან ვერასოდეს ჩვენ საკმაოდ გვაქვს შინაგანი მასალა და შინაარსი. რომ გარეშე ძალთა არევამ წამოგვაჩოქოს.

ვერ დაგვძლევენ.

ურწმუნოებო! ნუ თუ დღევანდელი ქართული პარადი იმედს არ გიკლავთ?

ნუ თუ გგონიათ, რომ საქართველო მალე გაქრება, და მის სამარის ქვას ჰერაკლიტეს „პანტა რეი“ დააწერება ეპიტაფიად?

ნუ გგონიათ. დღევანდელი პარადის უმაღლა საქართველოს სულია, რომელიც დიდი ხანია დადიოდა მიუსაფარი.

კრიზისმა განვლო. ეროვნული ინსტიქტი, რუსებმა რომ დაგვიბრმავეს, დღეს უკვე თვალხილულია და იგი უკვე ეძებს თავის ლოგოსს.

იზრდება სულით ქართველი ერი, იზრდება მისი თვითშეგნება.

ამ ზრდასთან ერთად მტკიცდება ქართველი ერის პოლიტიკური სხეული.

ქართული სახელმწიფო უკვე იქცა უდიდეს ეროვნულ ღირებულებად და იგი სახელმწიფო ძვირფასია ჩვენთვის არა როგორც უფლებრივ ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმა, არა მთელი ღირებულობა, ამ სახელმწიფოს ქართულშია. და მიტომაც დღევანდელი პარადი ეკუთვნის არა საქართველოს სახელმწიფოს, არამედ ხელმწიფე საქართველოს.

დღეს პარადია, საქართველოს წითელი პარადი.

მაგრამ ნურავის ეგონება, რომ კარჩაკეტილობის ლოცვა სთქვას დღეს საქართველომ. არა, დღეს საქართველოს გულ-ღიაა და მართალი, როგორც ყოველთვის. დღეს საქართველო შორს გასცქერის მოძმე ერებს, და ყველას უსურვებს გამარჯვებას. ყველა ერის მშრომელ ხალხს, რევოლიუციონერი საქართველო ძმურად უყვის. ევროპაში აგუზგუზებულ რევოლიუციის ცეცხლს გასცქერის ანთებული თვალებით, რადგან ამ რევოლიუციაში დაფარული თავისუფლების წმინდა თილისმა.

საქართველო მოუთმენლად ელის მათ გამარჯვებას, რომ მათ გამარჯვებას, რომ რაც შეიძლება მალე გაიგოს ძმური გამოხმაურება. თორემ ხომ ხედავთ ჩვენს გარშემო, ავგულები როგორ იხარშებიან საკუთარ შხამში. ალბად არ ესიამოვნებათ, რომ მათ ტკბილ სიზმრების დროს, საქართველო ცხადად დღესასწაულობს.

ალბათ ეწყინებათ, რომ მათთვის სასურველ ბრძოლის მოლოდინში, ჩვენ წითელ პარადებს ვაწყობთ, და ეროვნულ დროშას უფრო მაღლა ვწევთ.

მაგრამ რა უყოთ. გაიგოს ყველამ, რომ საქართველო თავისუფალია და ასეთივე დარჩება სამუდამოდ.

იცოდეს ყველამ, რომ დღეს ქართველი ერი იხდის თავისუფლების ალლუმს შეიტყოს ყველამ, რომ ერს არ უნდა მონობა. მას თავისუფალი ცხოვრება სწადია, და ამის ნიშანია დღევანდელი ჩვენი წითელი პარადი.

ვახ კოტეტიშვილი.

საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა

საქართველოს პარლამენტის წევრთა რიცხვი შეადგენს 137-ს. ფრაქციებად წევრები ასე არიან დანაწილებული: სოც.-დემოკრატები: 73 კაცი; სოც.-ფედერალისტები—16 კაცი; დამოუკიდებელი ნაციონ.-დემოკრატები—11; დამოუკიდებელი ნაციონ.-დემოკრ[illegible] სოც.-რევოლ.—18. ამათში ორი სომეხთა წარმომადგენელია თუმანოვი და თარხანოვი; რადიკალ დემოკრატი—2. დაშნაკელების ფრაქცია—3; სომხების სახალხო პარტია—2; „ალიანსი“—5; დამოუკიდებელთა კავშირის—3 და უპარტიო—2. ეროვნებით—ქართველი 119 კაცია; ამათში 2 ქართველი მაჰმადიანია, 2 ქართველი ისრაელი. სომეხი—13; თათარი—3. ოსი—2. პროფესიით ჟურნალისტი—33; მასწავლებელი—17. ვექილი—21. ექიმი—6. მუშა—19; პროფესორი—3; სამხედრო პირი—3; ინჟენერი—4; კოოპერატორი—2; კომერსანტი—1; ბუხჰალტერი—2; მუნიციპალური მოღვაწე—4; სხვა და სხვა პროფესიისა—22 განათლება. უმაღლესი—79; საშუალო—33; დაბალი—16; შინაური—9.

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მუშაობს დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ჯერ არ დამდგარა დრო პარლამენტის მუშაობის საბოლოო შეფასებისა, რადგანაც იგი განაგრძობს მუშაობას და იარსებებს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ამიტომ არც ჩვენი საპარლამენტო ფრაქციის მუშაობაზე ვიტყვი არსებითად არაფერს. საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარ წლის თავზე მოგიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ ცნობებს საპარლამენტო ფრაქციის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სოც.-ფედერალისტთა ფრაქცია შესდგება თექვსმეტი კაცისაგან. ესენი არიან: გრ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, ი. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, აკ. პაპავა, აკ. ფილავა, ს. დადიანი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ალ. წერეთელი, შ. მიქელაძე, ერ. ტორონჯაძე, თედო ღლონტი. მიხ. ყაუხჩიშვილი და არ. ჯაჯანაშვილი. ფრაქციის პრეზიდიუმი შესდგება შემდეგი პირებისაგან: თავმჯდომარე—გრ. რცხილაძე, თავმჯდომარის ამხანაგი—ს. ფირცხალავა, მდივანი—აკ. პაპავა, ხაზინადარი—მიხ. ყაუხჩიშვილი.

ფრაქციას ჰქონია სულ 66 სხდომა და გაურჩევია სულ 815 საკითხი. ამათში 125 კანონ-პროექტი. იყო დანარჩენი შეკითხვები და სხვა და სხვა ხასიათის საკითხები. ფრაქციის წევრნი განათლების მხრით ასე ნაწილდებიან: 15 წევრი უმაღლესი განათლებითაა, ერთი შინაური განათლებით. პროფესიის მიხედვით ასე ნაწილდებიან: პროფესორი 2, მასწავლებელი 2, ვექილი 4, ინჟინერი 1, მუნიციპალური მოღვაწე 1, ჟურნალისტი 3, სამხედრო პირი 1, მუშა 1, ექიმი 1.

პარლამენტის კომისიებში ფრაქციის წევრნი ასე არიან განაწილებულნი: საკონსტიტუციო—ს. დადიანი და ალ. წერეთელი; სამეურნეო—თედო ღლონტი, დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია—ალ. წერეთელი და შ. ნუცუბიძე; დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია—არ. ჯაჯანაშვილი და თედო ღლონტი; საბიუჯეტო და საფინანსო—გრ. რცხილაძე და თედო ღლონტი; სახალხო განათლების—დ. უზნაძე; სამანდატო—შალვა მიქელაძე; სამხედრო—ს. მდივანი და ს. დადიანი; იურიდიული—გრ. რცხილაძე და ი. ბარათაშვილი; აგრარული—თ. ღლონტი და აკ. პაპავა; მუშათა კომისია—ერ. ტორონჯაძე; სარეგლამენტო—სამ. ფირცხალავა; და ს. მდივანი: გზათა—მ. ყაუხჩიშვილი; ჯანმრთელობის—შ. მიქელაძე; ხელოვნების—აკ. ფილავა, სარწმუნოების—ალ. წერეთელი; საზავო—სამ. ფირცხალავა და ი. ბარათაშვილი, საბიბლიოთეკო—არ. ჯაჯანაშვილი სარედაქციო—ს. ფირცხალავა; გარეშე საქმეთა კომისია—არ. ჯაჯანაშვილი

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება 13 წევრი, დანარჩენნიკი სხვა და სხვა ადგილებში არიან გაგზავნილი სახელმწიფოებრივი საქმეების გამო.

სამაჰმადიანო საქართველო

საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის თავზე არ შეგვიძლიან არ გავიხსენოთ ჩვენი ძმები—მაჰმადიანი ქართველები. იმ დროს, როდესაც საქართველო თავის უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრეფდა ოსმალეთთან საბრძოლველად, იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა, ქართველმა მაჰმადიანმა ძმური

კავშირი გასწყვიტეს ჩვენთან და ოსმალეთის ასკერებთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. საშინელ ტანჯვას იწვევდა ეს გარემოება ყოველი ქართველის გულში. ჩვენ სამეგობროდ მივდიოდით, ისინი კი მტრულად გვხვდებოდნენ, ჩვენ მშვიდობიანობის თეთრი დროშით მივდიოდით, ისინი კი ტყვიით გვიმასპინძლდებოდნენ. მიუხედავად ამისა, არც ერთის ქართველის გულში მაჰმადიანი ქართველებისადმი არც ერთხელ მტრულ გრძნობას არ გაუვლია, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთის და მოღალატე ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის მსხვერპლნი გახდნენ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ თავის თავად არც ერთი ქართველი მაჰმადიანი თავის ძმას ქრისტიანი ქართველის მტრად არა გრძნობს და არც შეუძლიან იგრძნოს. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს აჭარელი, ვინც ერთხელ მაინც დალაპარაკებია მას, არ შეიძლება მთელი თავისი გულის სიღრმით არ იგრძნოს, რომ მის წინაშე სდგას ქართველის სისხლი და ხორცი. ეს ნათესაობა სისხლისა, ეს მშვენიერი ქართული, რომლითაც გიმასპინძლდებათ აჭარელი წარუხოცელ კავშირს ამჟღავნებს და ცხადჰყოფს, რომ სამაჰმადიანო საქართველო მთელი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნახევარი წლის თავზე, ჩვენ არ შეგვიძლიან განსაკუთრებული მწუხარება არ გამოვსთქვათ იმის გამო, რომ მაჰმადიანი ქართველები ჩვენთან ერთად არ დღესასწაულობენ საქართველოს თავისუფლებას.

მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა. ოსმალეთი, საქართველოს ისტორიული მტერი დაემხო. ვეღარავითარის მახინაციებით, ვეღარავითარის კომბინაციებით იგი ვეღარ შესძლებს თავისი გავლენის გაძლიერებას და ვეღარასოდეს ვეღარ დაემუქრება ჩვენ ტერიტორიალურ მთლიანობასა და ეროვნულ კულტურას. დადგა დრო, როდესაც სამაჰმადიანო საქართველომაც უნდა სთქვას თავისი საბოლოვო სიტყვა, გასწყვიტოს ყოველივე კავშირი ბარბაროსობისა და უკულტურობის მატარებელ სახელმწიფოსთან და ძმური კავშირი დაიჭიროს საქართველოსთან.

ოსმალეთის საკითხი ძალიან მალე მოკავშირეთა მსჯელობის საგნად გადაიქცევა. მთელი რიგი ერებისა, რომლებიც სულსა ღაფავდნენ ოსმალეთის ბარბაროსული უღელ-ქვეშ, ელირსებიან გადაწყვეტას თავიათი ბედისას. ამ საერთო მსჯელობის დროს არ შეიძლება არ წამოიჭრას ისეთი თვალსაჩინო საკითხიც, როგორიც არის საკითხი მაჰმადიანი ქართველებისა, აჭარა და ქობულეთი ქალაქი ბათომით, ახალციხის მაზრა ქალაქ ახალციხით, რომლებიც ასეთის ვერაგობით მოჰგლიჯეს ოსმალებმა ჩვენს ცოცხალ სხეულს, შეუძლებელია ჩამოშორდეს საქართველოს. შეუძლებელია აგრეთვე კვლავ ოსმალეთის მონობაში დარჩეს ჩვენი მონათესავე ხალხით დასახლებული ტერიტორია—ლაზისტანი. მართალია სამაჰმადიანო საქმისთვის ბევრს ადგილას ჩვენს მოძმეებს დავიწყებიათ ქართული ენა, მაგრამ აჭარისა და ქობულეთის მაგალითი ნათლად მოწმობს, რომ დედა-საქართველოსთან დაახლოვებით მათში მალე გაიღვიძებს ჩამქრალი სული ქართველისა და მალე დაუკავშირდებიან ჩვენს საერთო ეროვნულ კულტურას.

აქეთკენ უნდა იყოს მიმართული დღეს მთელი ჩვენი გულისყური გაივლის ხანი და ჩვენც, იქნება სულ მოკლე ხანში, საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი წლის თავზე, ერთად ვიდღესასწაულებთ საქართველოს თავისუფლებას, ერთად აღვმართავთ დროშას გაერთიანებულ საქართველოსას.

საერთო ტანჯვასა და მწუხარებაში განბანილი თავისუფლება, ბევრნაირი ეჭვებისა და ძიების შემდეგ ისტორიულად დაშორებულნი მოძმენი კვლავ გულში უნდა ჩაეხუტნენ ერთმანეთს და ერთად გასწიონ გაერთიანებული საქართველოს საერთო იდეალების განსახორციელებლად.

გ. ბარელი.

ნარკვევი

ჟურნალ-გაზეთიდან.

„განახლებულმა" „ტიფ. ლისტოკ"-მა განცხადების ბეჭვდისაგან შოიცალა და ცდილობს „პოლიტიკურ" გაზეთად გადაიქცეს. მაგრამ პირველი ცდა მაინც და მაინც დამაკმაყოფილებელი ვერ გამოვიდა. რადა ღირს თუნდაც ა. შირსკის შემდეგი სტრიქონები?

„ჩვენ, რა თქმა უნდა ვიცოდით,—რამდენადაც ეს ჩვენზეა დამოკიდებული—ამ კომპრომისის დროს (ავტორს მხედველობაში აქვს კომპრომისი მოხალისეთა ჯარსა და უფის მთავრობის დროის) უპირატესობა მიეცეს იმ მიმდინარეობას, რომელიც რუსეთის დემოკრატიას წარმოადგენს. მაგრამ თუ ეს უკანასკნელნი თავის პოზიციებს სიწმინდითაც ვერ დაიცავს, თვით ფაქტი ბოლშევიკების საწინააღმდეგო ფრონტის შექმნისა მოსაგონია უკეთესნაირ პირობებში. რუსეთის აღდგენა თავის თავადაც დიდი ბედნიერება, იქნება იგი ფართო დემოკრატიული ქვეყანა, თუ შემდეგში უფრო „მემარჯვენეს გზით წავა".

რუსეთის აზროვნება თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივიდა, დღეს რუსეთის გაერთიანებისთვის ხელს იღებენ დემოკრატიულ წესწყობილებაზე, ხვალ, ალბათ თუ დასჭირდებათ, უკიდურეს რეაქციონერებსაც გაამეფებენ. მაგრამ საინტერესოა გაგვაგებინოს ბ-მა შირსკიმ. ნუ თუ მას სერიოზულად ჰგონია, რომ ანტიდემოკრატიულ საფუძვლებზე აღმოცენებულ მთლიან რუსეთს შეუძლიან გასძლოს თუნდაც ერთს დღეს? ტყუილად თუ აზვიადებენ კონსერვატიულ ძალას? რეაქცია, რომლის მოახლოვებასაც ახეთს სიამოვნებით ჰხვდება ბ-ნი შირსკი რუსეთს ვერ გაერთიანებს.

უკანასკნელი ცნობები

გუშინ, საღამოს მატარებლით წავიდა ბაქოში ინგლისელთა დელეგაცია მაიორ მაკდონალდის მეთაურობით.

—

ინგლისის ელჩის ჩამოსვლა. ოთხშაბათს ნოემბრის 27-ს საღამოს 6 საათზე ტფილისში ჩამოვიდა ბაქოს კონსული მაკდონალდი. მას თან ახლავს ინგლისის ლაშქრის 4 რუსის ოფიცერი და 2 ინგლისელი ოფიცერი. გუშინ კონსულის წარმომადგენელი წარუდგა გზათა სამინისტროს საერთო საქმეთა მმართველს გიორგი ფიცხელაურს და მადლობა მოახსენა, რომ მათ საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობიანად იმგზავრეს და თან სთხოვა, რომ მათი მატარებელი № 92 მოუბას საქართველოს რკინის გზის სწრაფლ მატარებელს გარეშე მიღებულ წესისა, რაზედაც ბ. ფიცხელაურმა ნებართვა მისცა კონსული თავისი ამალით ამ მატარებლით ფოთს მიემგზავრება იქიდან ყუბანში.

ზავის გარშემო

იტალიის ჯარი.

მოსკოვი. . . . . უახლოესი მიზანია ტრანსილვანის დაჭერა. რუმინიის ორი პოლკი ტრანსილვანიაში შევიდა. მეფე ფერდინანდმა მოუწოდა ჯარის-კაცთ იბრძოლონ ბოლომდე. იტალიის ჯარის მიერ დაჭერილი ტიროლის ოლქებში გაკრულია პროკლამაციები, ხადაც ნათქვამია, რომ ეს ოლქები სამუდამოდ ეკუთვნის იტალიას..... (გამოტოვებულია).

საბჭოების მანიფესტი.

მოსკოვი. 29 ნოემბერი. ყველა მუშათა გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოებს. უკრაინის მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობის მანიფესტი აჯანყებულ მუშათა და გლეხთა და უკრაინის რევოლიუციონურ ჯარის სახელით ვაცხადებთ რომ გეტმანის მთავრობა ჩამოგდებულია. უკრაინის მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა აღდგენილია. უკრაინის მუშებო, გლეხებო, უკრაინის წითელო არმიის ჯარისკაცნო დადგა სანატრელი დრო, როცა უკრაინის დროებით გამარჯვებულ ბურჟუაზიის მემამულეთა და სკოროპადსკის მთავრობა დაემხო.

დადგა დრო და გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის მუშებმა და ჯარისკაცებმა ძალა უფლება ხელში აიღეს. დადგა დრო ბურჟუაზიის სიკვდილისა და მშრომელთა აღორძინების, ჩვენ უკრაინის საბჭოთა ცენტ. აღმ. კომიტეტის წევრნი, მხარს უჭერთ აჯანყებულ მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცთ, ვემხრობით უკრაინის ცენტრალურ კომუნისტურ პარტიის დადგენილებას და ვაარსებთ უკრაინის მუშათა და ჯარისკაცთა დროებით მთავრობას, აჯანყებულთა სახელით ვაცხადებთ: მანისტრები გადაყენებულია, ისინი კანონს გარეშე რჩებიან.

მოსკოვი, 29 ნოემბერი. გეტმანის მიერ ყველა ძალა-უფლებით მოსილი, გერმანიის სარდლობა და ძველი მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელნი დაპატიმრებულ უნდა იქნენ. მათ ადგილს დაიჭერს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენელნი. მანიფესტს ხელს აწერს თავმჯდომარე პიატაკოვი, წევრები: ვოროშილოვი, არტიომი, კვირინგი, ავერინი, ზატონსკი და კოციუბინსკი.

ახალი ამბავი

◆ **სადღესასწაულო მიტინგი.** დღეს, საქართველოს პარლამენტის და დამოუკიდებლობის არსებობის წლის თავზე სასახლესთან გაიმართება სადღესასწაულო მიტინგები.

◆ **პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება.** პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე სთხოვს მოქალაქეთ, ვისაც პარლამენტის სხდომის ბილეთი არა აქვს, სასახლეში ნუ გამოცხადდებიან.

◆ **ბათომში შესვლა.** ქუთაისის გუბერნიის კომისარი გრიგოლია სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, აცნობოს, სავალდებულოა თუ არა ქუთაისის გუბერნიისათვის ბათომში შესვლის შესახებ ამ დღეებში გამოცემული განკარგულება, რომლის ძალით ბათომში შესვლა შეიძლება მხოლოდ გენერალ ყარალაშვილის ნებართვით

◆ **სომეხ ლტოლვილთა შაქარი.** შინაგან საქმეთა მინისტრის შეკითხვაზე სომეხ-ლტოლვილთა შაქრის რეკვიზიციის შესახებ ბორჯომის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი უპასუხებს, რომ ის შაქარი შემთხვევით აღმოჩენიათ ნალბანდოვ-მურადოვის საწყობში ამის შემდეგ 100 ფუთი ბაკურიანის ლტოლვილთა ორგანიზაციისათვის გადაუციათ, შემდეგ ამავე რაიონის ლტოლვილთათვის 100 ფუთიც გაუგზავნიათ შტაბი ირწმუნება, რომ ჩამორთმეული შაქარი სრულებით არ იყო ლტოლვილთათვის, რადგანაც ეს შაქარი მოუტანიათ ბორჯომში მაშინ, როცა აქ ლტოლვილთა ხსენებაც არ ყოფილა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ამხანაგების საყურადღებოდ.

კვირას, დეკემბრის 1-ლს, დილის 10 საათზე, საქართველოს პარლამენტის ექვსი თვის შესრულების გამო ყველა ჩვენ ამხანაგებს ვსთხოვთ თავი მოიყრიბონ პარტიულ კლუბში.

ამხანაგები: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შ. ნუცუბიძე, არჩ. ჯაჯანაშვილი ალ. წერეთელი, სამონ დადიანი, დ. უზნაძე, შ. მესხიშვილი, იოს. ბარათაშვილი და სხვები სიტყვებით მიმართავენ ამხანაგებს მომენტისა და პარლამენტის შესახებ. აქედან დროშებით გავემგზავრებით სასახლისკენ.

—

ტფილისის გუბერნიის კომიტეტის კრება. კვირას, დეკემბრის 1-ს დანიშნულია გუბერნიის კომიტეტის ჩვეულებრივი კრება. დასაწყისი დილის 11 ს.

—

კრება კლუბში. კვირას დეკემბრის 1 სოც.-ფედერალისტთა კლუბში შესდგება საზოგადო კრება. მოხსენებას კითხულობენ დღევანდელ მომენტის შესახებ შემდეგი პირები: გ. ლასხიშვილი სამსონ ფირცხალავა, გრ. რცხილაძე და სხვები დასაწყისი საღამოს 7 ს.

—

მოწაფეთა და სტუდენტთა კრება.

კვირას, 1 დეკემბერს. საღამოს სწორედ 6 საათზე. პარტიულ კლუბში დანიშნულია სოც.-ფედ. სტუდენტთა მთავარი ბიუროს და სოც.-ფედ. მოწაფეთა ტფილისის კომიტეტის შეერთებული სხდომა.

სამინისტროებში

იუსტიცის სამინისტროში.

მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობის გაფართოების პროექტი.

იუსტიციის სამინისტრომ ხელმეორედ წარუდგინა მთავრობის საქმეთა სამმართველოს სათანადო მსვლელობის მისაცემად კანონ-პროექტი მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობის განყოფილებისა იმ შესწორებების და მიხედვით გადამუშავებული, რომელთა შეტანა კანონ-პროექტში საჭიროდ დაინახა რესპუბლიკის მთავრობამ კანონ-პროექტის პირველად განხილვის დროს. ახალ პროექტით, მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობა თვალსაჩინოდ არის გადიდებული: მაგალითად, სამოქალაქო საქმეებში მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენცია 10000 მანეთის საჩივრის განხილვით განისაზღვრება.—

საპყრობილეებში მოსამსახურეებისთვის ჯამაგირების მომატება.

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა რესპუბლიკის მთავრობას მოხსენება საპყრობილეთა ადმინისტრაციის პირთათვის და ქუთაისის გუბერნიის საპყრობილეთა სადარაჯო რაზმის ჯამაგირების მომატების შესახებ (ტფილისის გუბერნიაში სადარაჯო რაზმის ჯამაგირი უკვე გადიდებულია). ახალი ჯამაგირები, წარდგენილ მოხსენების მიხედვით, სხვა და სხვაა სხვა და სხვა ადგილებში. მეტია დიდ ქალაქებში. სამინისტრო შუამდგომლობს ახალ შტატების დაკანონებას ნოემბრის 1-დან

სოჭის ოლქში სასამართლო დაწესებულებათა მოწყობისათვის.

სოხუმის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ დაწერილებითი მოხსენება წარმოუდგინა იუსტიციის მინისტრს სოჭის ოლქში სასამართლო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ.

მ. პ. გაკკელის სამსახურიდან გადადგომა.

ტფილისის ოლქის საპატიო მომრიგებელმა მოსამართლემ მ. პ გაკკელმა შუამდგომლობა აღძრა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

სომხური პრესა

ცნობილი დაშნაკცაკანი მოღვაწე კ. ღაზაზიანი წალკიდან დაბრუნების შემდეგ (ის იქ იყო წასული გადმოხვეწილთა შინ დაბრუნების საქმისათვის გაგზავნილ საერთაშორისო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შემდეგსა სწერს „აშხატავორში":

„იმ ღრმა და უცვალებელ რწმენამდი მივედი, რომ გადმოხვეწილთა გაგზავნა ისეთ ადგილებში, სადაც ჯერ კარგა მაგრა აქვთ ფეხი მოკიდებული ოფიციალურად თუ არა ოფიციალურად ოსმალთ ჯარებსა და ემისრებს და სადაც მთავრობა არა ჩანს და ადგილობრივი თათრების ველურზე ველური ინსტინქტების შემკავებელი ძალა არ არსებობს, სამაგიეროდ მათი წამქეზებელი ბევრია, ხოლო გადმოხვეწილთა ვნებანი იმდენად დაძაბულ და ჭიმულია, რომ მათი ალაგმვა არც აგრე ადვილია, ასეთ პირობებში სომეხ გადმოხვეწილთა გაგზავნა ოსმალთა საჩრდილობელ ქვეშ, ეს მიზან-შეუფერებელია და საშიშარი ნაბიჯიც

პოლიტიკა კარგი რამ არის, როცა მას ასრულებენ ხალხის ინტერესებისათვის, მაგრამ არა ისე, რომ იგი ხალხს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს".

ამ ამონაწერის გამო „ჟოღოვორდი ძაინი" სამართლიანად შენიშნავს:

„უკეთუ დაშნაკცაკანები ბოლოს და ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივიდოდნენ და ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს დასწერდნენ, მაშ რაღა საჭირო იყო ორი კვირის უაზრო ბრძოლა, თუ რომ „ხალხის ინტერესები" „ხალხის სიცოცხლის ფასად" უჯდებოდა?!

თურქული პრესა

სტამბოლის გაზეთი „ზამან"-ი იზეთ-ფაშის მიერ შემადგენელი კაბინეტის შესახებ შემდეგს სწერს:

როგორც გუშინ აღვნიშნეთ, თევფიკ-ფაშამ, ზოგიერთი მიზეზების გამო კაბინეტის შედგენა ვერ მოახერხა. და ეს მოვალეობა კი სახელმწიფო საბჭოს წევრს, ხვანთქრის პირად ადიუტანტს, ყოფილ სამხედრო მინისტრს იზეთ-ფაშას მიენდო. და ისიც, ორი დღე არის თავის ამხანაგებ შორის თანამდებობისათვის ღირსეულ პირებს ირჩევს და ნიშნავს. ეჭვი არ არის რომ იზეთ-ფაშა, სულ მოკლე ხანში თავის კაბინეთის შედგენას შესძლებს. კაბინეტში მისაღები პირების დიდი ნაწილი დანიშნულია და დამტკიცებული. ახალი კაბინეტის ერთად ერთი მოვალეობა ის არის, რომ ზავის წინა დღეებში სამშობლოს მოთხოვნილებისამებრ წესიერებით საზავო მოლაპარაკების დროს შეძლებისადაგვარად სამშობლო დაუზიანებლად სამშვიდობოს გამოიყვანოს და სხვა პოლიტიკურ წარმოებას, თავი ანებოს. ამ დიადი საქმის წინაშე კერძო და პირადი ყველა მოსაზრებანი, უნდა მოიშორონ, გრძნობანი უნდა შეაჩერონ და ახლო თუ შორეული წარსულის ყველა მოგონებანი დროებით მაინც მეხსიერებიდან უნდა წარიხოცონ. ამას მოითხოვს დღეს საერთო ჩვენი ინტერესები და მთავრობის გამარჯვებაც. მხოლოდ ამ საშუალებით იქმნება, რომ სამშობლოს მიერ მოთხოვნილი ზავის დასაყრდნობი ნიადაგი და ფუძეები, შერყევისაგან იქმნება დაცული.

უსათუოდ, ზავის დასაყრდნობის უმნიშვნელესი ფუძეები, შინაური ჩვენი მდგომარეობა, სოლიდარობა და ერთობა არის როდესაც იზეთ-ფაშა, საზავო მიზანს უახლოვდება, იძულებულია ეს ფუძეები დაიცვას. გარეშების მიერ, ჩვენს კაბინეტში, საფუძვლიანად სისუსტის აღლოსი ალება, სამართლიანად თუ შეცდომით, მომასწავებელი ყოველი მოვლენა. ზავის დაახლოვებას არა თუ გაადვილებს, არამედ—ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენ სამშობლოს განუზომელ უბედურებას მოჰგვრის.

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება იზეთ-ფაშას კაბინეტისაგან მოითხოვს არა დღევანდელი გარეშე პოლიტიკა უნარით, გამარჯვებით აწარმოოს და ჩვენში ნერვებ აშლისაგან გამოწვეულ გარემოების საწინააღმდეგოდ ზომები არ დარჩეს მიუღებელია. ამასთან ერთად დღეს მის მიერ დაკისრული მოვალეობა თუმცა მეტად საპასუხმგებლოა და რთული მაგრამ მაინც უთავბოლო არა.

დღევანდელ გარეშე პოლიტიკაზე როცა გვიხდება ლაპარაკი, მაშინვე უწინარეს ყოვლისა საზავო საკითხები აზრად მოგვდის, მაგრამ ჩვენთვის კი ჯერ. ქვეყნის ფუძეებს, მამულიშვილობის სალამათის და მომავალის,—რამდენადაც შესაძლებელია, შესაფერისად უზრუნველყოფა არის.

იზეთ-ფაშის მთავრობა ეროვნულ საკითხს, ეროვნული და მისი გარეშე პოლიტიკის მაწარმოებელ ფაქტორად გაიხდის. იგი მოკავშირეთა მიერ მიღებული ვილსონის პრინციპების ცამხრივად ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგი უნდა იყოს და მართლა ამის საწინააღმდეგო გზა-კვალი თუ გამოსძებნა, მაშინ თავისი მოვალეობა ბრწყინვალედ შესრულებული იქმნება. ახალ კაბინეთში შესული ზოგი პიროვნებანი ამ შემთხვევაში ბევრს იმედებს გვაძლევს ჩვენ გვინდა თვითგამორკვევის საკითხი რომელიც ასე დიდს როლს თამაშობს. და ოსმალეთსაც დიდი მოვალეობა დააკისრა, ეს ერთმა და ორმა მინისტრმა კი არა, არამედ მთავრობის მთელმა შემადგენლობამ გადასწყვიტოს და ეს მოვალეობა ისე უნდა შესრულოს, რომ არავის მიზეზი აღარ მისცეს. ასე რომ, მაგალითად კავკასიაში ჩვენი სისხლისა და სჯულის ძმების უფლებანი, როგორც ოსმალეთის უფლება და ინტერესები ისე თანახმად უნდა დაიცვან! იზეთ-ფაშის მთავრობისაგან, მათ გარეშე პოლიტიკაში ასეთივე გულითა და რწმენით აღჭურვილად მოქმედებას მოველით.

შინაურ პოლიტიკაში კი, იზეთ-ფაშას მთავრობისაგან ბევრ რასმეს არ უნდა მოველოდეთ მეტადრე, ახალმა მთავრობამ, დიდს იმედებზე დამყარებით, ქვეყნის სურათის, ერთბაშად შეცვლა არ უნდა მოინდომოს და გადაჭარბებული ზომების მიღებას არ უნდა დაადგეს. ეს არის ყველასაგან სავედრებელი საგანი. რეფორმების შემოღების დრო არაა. შინაური საქმეები, ომის გამოწვეული მიზეზების გამო, ისე არეულ-დარეული არის და ისე ჩახლართული, რომ დღეს მთავრობის სათავეში ჩამდგარმა პირებმა, ამაებით გართვის სურვილი რომ გამოიჩინონ, სარგებლობის მაგიერ დიდს ზარალს მოიტანებენ, სამშობლოს, რომ არ გამოისვლება ისე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებენ. ჩვენი ახალი მთავრობა ქვეყანას, დღევანდელის მდგომარეობით, საზოგადო მოლაპარაკებამდე თუ მიიყვანს, შინაური მოვალეობის მიხედვით საპატიო საქმე ექმნებათ გაკეთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრს მეტოქებს მისცემს მიზეზებს, რომ ცხენი ამ ჟამად სულაც არა სასურველია.

გარეშე პოლიტიკის მიხედვით, გარდაწყვეტილება და შორს მჭვრეტელობა, შინაური პოლიტიკაში კი ზომიერება და წინდახედულობა, აი ამას მოვითხოვთ ახალი მთავრობისაგან.

დუშეთის საერობო არჩევნების გამო

ვიდრე ერობის არჩევნებს შეუდგებოდით მე „სახალხოში" ვწერდი სოც.-დემოკრატების საყურადღებოდ: დუშეთის მაზრაში ხალხი ბოლშევიკურად არის განწყობილი, უფრთხილდეთ მათ. რესპუბლიკის ინტერესებისთვის ჩვენ: ს. ფ და ს. დ შეთანხმება გვმართებს და ერთი სიით გამოსვლა მეთქი. ისეც გულაცრუებული გლეხობა, პროპაგანდისტთა თავისუფალი ქადაგებით უფრო გადირევა და ორივე პარტია ნდობას დავკარგავთ მეთქი.

ს.-დემოკრატებმა არ დამიჯერეს.

ამხანაგებმა დაიწყეს მოლაპარაკება როგორც ადგილობრივ ს. დ-ან, ისე მათ საპარლამენტო ფრაქციის წევრებთან ბოლოს არჩევნების წინა დღეებში პროპაგანდისტ ჩხეიძე-მანჯგალაძის „ოტნოშენიით" უარი გამოაცხადეს შეთანხმებაზე.

ამის შემდეგ, თუმცა არჩევნები უკვე მოახლოვებული იყო, მაინც იძულებული ვიყავით დაგვეწყო მუშაობა.

მერე რა სურათი ვიხილეთ არჩევნების დროს? ხალხს აღარ უნდა „კენჭაობა", მას ამ პროცედურის აღარაფერი სწამს, ერთნი გაიძახიან „გაგვანებეთ, შვილოსა, თავი, რაც გინდათ ის გააკეთეთ, ოღონდ ჩვენ მოგვასვენეთო, მეორენი დასძენენ: „ჩვენ ხომ შარშან მივეცით კენჭები, იმითი გააკეთეთ საქმეო, მესამენი მენშევიკების ხსენებაზე პირდაპირ იარაღისკენ იწევენ და გაიძახიან: ჩვენ ეგ ნომერი არ გვინდა, მოგვიტანეთ „ჩვენი" (ალბად ბოლშევიკების) ნომერი და „მას ჩავყრითო".

მაზრის გლეხობა არ მოსულა საარჩევნო ყუთებთან. ბევრნაირი ზომა იხმარა საარჩევნო კომიტეტმა, ერთი დღის მაგიერ სამი დღე და მთელი კვირაც მოანდომა არჩევნებს, ბევრგან ყუთებს ადგილიც უცვალა, მაგრამ ხალხი მაინც არ მოვიდა.

დიდის ხალისით გამოცხადდნენ მხოლოდ ქ. დუშეთში და ზოგიერთ დაბებში, სადაც უფრო მეტი შეგნებაა.

ერთი უცნაურობა მოხდა ამ არჩევნებში. რეხულის ხეობა, რომელიც დასახლებულია მთლად ოსებით და რომელიც ითვლება ყველაზე ჩამორჩენილ და მასთანვე არა კეთილ საიმედო კუთხედ მაზრაში, გაიხსენეთ ცხინვალის აჯანყება, აგრეთვე ისიც, რომ სულ რამდენიმე კვირის წინედ მათ იარაღი აჰყარა მთავრობის საგანგებო რაზმა, ჰო და აი ამ ხეობაში, მაშინ—როდესაც გარშემო სრული აბსენტეიზმია, (ძალიან ბევრგან ერთი ხმაც ვერ მიიღო ორივე №-მა), აქ თითქმის 100 პროც. აძლევს ხმას სიას № 1. ამათი წყალობით ს.-დ. მთელს საარჩევნო ოლქში თავისი კანდიდატები გაიყვანეს.

ესევე მოხდა მთაში, ქვეშეთის რაიონში, იქაც კოძელმა ოსებმა „მისცეს" № 1—2638 ხმა, მაშინ, როდესაც საქართველოს ბურჯნი, მოხევენი იძულებულნი იყვნენ არჩევნებში თითქმის სულ არ მიეღოთ მონაწილეობა მაუზერიან ს. დ. პროპაგანდისტ ტატე შუშიაშვილის თავ-აღებული საქციელის წყალობით.

აღსანიშნავია აგრეთვე სოფელ მჭადიჯვრის არჩევნების შედეგი. ეს სოფელი მეტად ჩამორჩენილია. არავითარი კულტურული ძალები აქ არ არის. მაინც კი ვითომ იქ მოსულა 500-ზე მეტი ამომრჩეველი და სულ № 1 სიისთვის მიუცია ხმა. სამწუხაროდ იქ მოხვდა ჩვენი გამოუცდელი ამხანაგი, ამიტომაც ასე ლაღად იქმნა გადებული საარჩევნო ურნა № 1 ის.

არჩევნების შემდეგ ერთს ჩვენს ამხანაგს ჰქონდა დავალება გაეგო რა მოხდა მჭადიჯვარში. იქ მისთვის გლეხებს ეთქვათ, რომ ყუთთან მივიდა არა უმეტესს 60—80 კაცისაო.

ს. წილკანში ვიღაცას მენშევიკების გადაჭარბებულს ერთგულებით აელო და ერთბაშად მოკეცილი 1000-დე № 1 ჩაებრახუნებინა ყუთში.

ერთი სიტყვით, სადაც ჩვენ ვერ მივედით, სადაც ხალხი მეტად ჩამორჩენილია და არავითარი წარმოდგენა არა აქვს პარტიებზე, იქ ყველგან რაღაც განგების წყალობით მენშევიკებმა ათასობით ხმები დაითვალეს:

ჩვენმა ამხანაგებმა მხოლოდ გაკვირვება გამოსთქვეს საერთო საარჩევნო კომიტეტის კრებაზე და ფორმალურად კი დაადასტურეს არჩევნები ყველგან, გარდა წილკნისა, რადგან სოფლის საარჩევნო კომისიები ერთ—ორ შემთხვევის გარდა სულ ს. დ.—ბის ხელში იყო და ოქმები დიაღ „ხელ-მოწერილი და ბეჭედ დასმული" წარმოგვიდგინეს.

ამნაირად ს. დ. შეაგროვეს დუშეთის მაზრის მიყრუებულ ადგილებში ბევრი საეჭვო ხმები.

ჩვენ კი სწორედ იქ, იმ დაბებში, სადაც ხალხი უფრო შეგნებულია და მაზრის კულტურულ ცენტრებად ითვლებიან, ჩვენ მივიღეთ უმრავლესობა.

ესენი თვით ქ. დუშეთი, ყაზბეგი, მცხეთა, მუხრანი, ბაზალეთი, ახალგორი.

შეგნებული ნაწილი მაზრისა ჩვენ მხარეზეა და მომავალ მუშაობისათვის ეს ჩვენთვის კარგი საწინდარია. შარშან ხომ მენშევიკებმა მიიღეს 26,000 მეტი ხმა, ჩვენ 700 ვერც კი. ახლა მათ მიიღეს 7,602 ხმა, ჩვენ 1,4[illegible]3 ხმა. ესეც საგულისხმო და იმედის მომცემია.

არუალელი.

ტფილისის სასულიერო სემინარიის გარშემო

მსურს გაკვრით მოგახსენოთ ამ სასწავლებლის უკანასკნელი წლების შესახებ რამოდენიმე სიტყვა.

1914 წელში ხაზობით სახლში წასული სემინარიელების მაგიერ ყუბანის პლასტუნებმა დაიჭირეს ეს შენობა და ყოველ მხრივ სამაგიდოდ მოწყობილ სასწავლებელს თუ რა ზომამდის მიიყვანდნენ რუსის ჯარისკაცები მკითხველმა განსაჯოს. პლასტუნების გამგზავრების შემდეგ პატრიოტული გრძნობებით გატაცებულმა მაშინდელმა რექტორმა მელქისედეკმა ლაზარეთისთვის შესთავაზა იგი მარიამ თედორეს ასულს და მას შემდეგ ვიდრე მიმდინარე წლის იანვრამდე, როდესაც ამ შენობაში დაბანაკდა ტფილისის ცალკე მსროლელი რაზმი, სხვა და სხვა ლაზარეთები სცვლიდნენ ერთი მეორეს. ხოლო 10 ივლისიდან გერმანელი ჯარის ნაწილები ბინადრობენ შიგ. საკმაო დრომ განვლო მას შემდეგ, ყველა სასწავლებელმა მოახერხა შესაფერი ბინის შოვნა, ხოლო ვერც სემინარიის მმართველობამ და ვერც საკათალიკოსო საბჭომ, რომელიც ეხლა გვევლინება სასწავლებლის ბატონპატრონად, ვერ შესძლეს შენობის განთავისუფლება და მეცადინეობის წესიერად დაწყება. ამ რიგად ოთხი წლის განმავლობაში სასწავლებელი თანდათან სისტემატიურად უახლოვდებოდა უფსკრულს. მოწაფეობა, რომლის 95% მაინც ობლები, სოფლის გლეხკაცობისა და სამღვდელოების შვილებია, აი ეს ღარიბ ლატაკი მოწაფეობა, რომელიც თავს აფარებდა სასწავლებლის კალთებს (ჰქონდა უფასო ბინა, ლოგინი, წიგნები და სხვა). დარჩა ღვთის ანაბარად გარეთ, უპატრონოდ. თვით ამ სტრიქონების დამწერი და მასთან ერთად ბევრი სხვანიც იძულებული ვიყავით მთელი რიგი ღამეებისა ტფილისის სადგურზედ ან და ღია ცის ქვეშ გაგვეთია. ხოლო თუ რომელიმე ბედნიერი სადმე ბინას იშოვიდა ისიც ქალაქის განაპირა უბნებში, ნესტიან და სრულიად უვარგის სარდაფებში. რა მოჰყვა შედეგად ასეთ მდგომარეობას? სემინარიაში მოწაფეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, სწავლის საქმე დაეცა, სამაგიეროდ გასაოცრად მოიკიდა ფეხი ავადმყოფობამ, ხშირი იყო სიკვდილიც.

როგორც ზევითაც მოვიხსენეთ ამ ოთხი წლის განმავლობაში სასწავლებლის გამგეობამ ვერ შესძლო არამც თუ მოწაფეთა საცხოვრებელი ბინები ეშოვნა, თვით რიგიანი სამეცადინო ოთახების შოვნაც კი და ამ რიგად ჩვენ ვხედავთ სემინარიელებს დღეს წყნეთის ქუჩაზედ მეცადინეობენ, ხვალ ანდრიას, ზეგ ჩერქეზიშვილის და ასე დაუსრულებლივ, გასულ სამოსწავლო წლის დამდეგს, როდესაც მოწაფეობამ გაბედულად მოითხოვა ნაციონალიზაციის გატარება ყველა კლასებში, თვით სასწავლებლიდანაც კი დაუპირეს გამორიცხვა რუსის შავრაზმელმა მასწავლებლებმა და ასე უთხრეს მოწაფეებს: არავითარი ნაციონალიზაცია, არავითარი ქართული სემინარია, ეს სასწავლებელი რუსის სინოდის მიერ არის აშენებული რუსებს ეკუთვნის, გნებავთ მობრძანდით და ისწავლეთ და თუ არ გსურთ წადით გზა დაგვილოცნიათ

თავგანწირული ბრძოლა სწარმოებდა ამ სასწავლებლის გარშემო და მხოლოდ შეგირდების აუწერელ ენერგიულ მეცადინეობას უნდა მიეაწეროთ, რომ რაც კი აქვს დღეს ამ სასწავლებელს ქართველების ხელშია. თორემ დღეს თუ თვით შენობის და დანარჩენი ქონების ბატონ პატრონნი ის შავრაზმელები იქნებოდნენ, რომელთაც ანასტასიევის ქუჩაზედ გაუხსნიათ „ამიერ-კავკასიის" სემინარია და იქ განაგრძობენ თავიანთ „საქმიანობას". დღეს, როდესაც ყველა სასწავლებელი სამინისტროს ხელში გადადის: საკითხი დაისვა სემინარია ვის ხელში უნდა დარჩეს? მთელი შემადგენლობა შეგირდებისა მოისურვა სასწავლებელი გიმნაზიად გაკეთდეს და სამინისტროს გადაეცეს. საკათალიკოსო საბჭოს კი უნდა ჰქონდეს სემინარია, მხოლოდ არა აქვს თანხა იგი შეინახოს და იძულებულია 5 ნოემბრის სხდომაზედ დახურულად გამოაცხადოს იმ იმედით, რომ შემდეგში ისევ განაახლებს „დროებით შეჩერებულ" სწავლას. ამასთანავე მთელი ქონება და თვით შენობაც სემინარიისა განუზრახავს შეინახოს, რომ დისდაც მასალდებელი საგნებით სამღვდლო სასწავლებლის საჭიროებისათვის საჭიროა მოვაგონოთ ბ—ბთ, რომ თუ მოწაფეები არა ამ ქონების ნიშანიც არ იქნებოდა დღეს და ან რა უფლება გაქვთ მიითვისოთ ის, რის შესანარჩუნებლადაც არავითარი ზომა არ მიგიღიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე დეპეშას, რომელიც მოკრძალებით გაეგზავნა პეტროგრადში მინისტრ კარტაშევს. დიდი და ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა საკათალიკოსო საბჭოს მხრივ, კიდევაც რომ მიეცეს ამის საშუალება, თუ იგი ამ უკანასკნელ „ტანსაცმელსაც" გახდის ისედაც განაწამებ შეგირდობას და ისე გაუგზავნის მათ სამინისტროს. რომელსაც არავითარი საშუალება არა აქვს დღევანდელი ზღაპრული სიძვირის დროს ახალი სასწავლებლისთვის მთელი მოწყობილობა შეიძინოს და სწავლა განაგრძოს. საკათალიკოსო საბჭოს ასეთ დადგენილებას ვერა ერთი შეგნებული ქართველი მხარს ვერ დაუჭერს, ვინაიდგან მთელი მოწაფეთა შემადგენლობის ასე შიშვლად სამინისტროს ხელში გადაცემა უდრის მათ დაქცევას, რაიც მე მგონია ბევრისთვის სასურველი არ უნდა იყოს. ჩვენ მივმართავთ ვისაც ჯერ არს ამ სასწავლებელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

დროა, ჩვენს ცხოვრებას ნორმალური მსვლელობა მიეცეთ. ჯარი ყაზარმაში, მოწაფეობა სასწავლებელში ამ ერთი წლის არსებობის შემდეგ საქართველოს სამღვდელოების მიერ უპატრონობისა გამო ტფილისის სასულიერო სემინარიამ, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერს, სამუდამოდ დახუჭა თვალი და მის ნანგრევებზედ უნდა აღმოცენდეს უფრო სასურველი და უფრო სასარგებლო სასწავლებელი. მისი სრულიად მოსპობა შეუძლებელია.

მეთვალყურე.

საქართველოს ღერბის შესრულების შესახებ

ამ რამდენიმე კვირის წინედ მთავრობამ გამოაცხადა კონკურსი ჩვენი რესპუბლიკის ღერბის შესრულებისა. როგორც ვიცით კონკურსი უკვე გათავდა და მთავრობამ მოიწონა ნახატი, რომლის დევიზი არის „წინ".

საზოგადოდ კონკურსი გამოცხადებული უნდა იყვეს, ისე ეს კონკურსი გამოცხადებული იყო განსაკუთრებულ პირობების შესრულების აღნიშვნით რასაკვირველია კონკურსში ყოველი მონაწილე უნდა ეცადოს ამ პირობების ფარგლებში შეასრულოს თავისი ნახატი. და როდესაც წარმოდგენილ ნაწარმოებს აფასებენ, აუცილებელი საჭიროა, რომ როგორც თვით დამფასებელთა შემადგენლობა, ისე ნაწარმოების დაფასება უნდა იყვეს ამ პირობების ფარგლებში მოთავსებული ეს ცხადია; თუ კი კონკურსის ყველა პირობები ვერ იქნა შესრულებული, კონკურსს აცხადებენ არ შემდგარად.

ღერბის კონკურსის შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ კონკურსის უმთავრესი პირობები არ არის შესრულებული და ამავე დროს მთავრობამ გამოაცხადა, რომ კონკურსი შედგა. ჩვენ ვთხოვთ, რადგან ამას საზოგადო ხასიათი აქვს, კონკურსის დამფასებელთა თავმჯდომარემ გაგვაცნოს კონკურსის ვითარების საქმე, რადგან ჩვენ ვამბობთ, რომ კონკურსის პირობები არ იყო შესრულებული. არ არის შესრულებული შემდეგი პირობები: 1) ღერბის შესრულებაში უნდა ყოფილიყო დაცული ზოგადი ღერალდიული წესები.

საინტერესოა გაგვაცნონ რომელი ღერალდიული წესი არის დაცული მიღებულ პროექტში. 2) უნდა ყოფილიყო დაცული ქართული სტილი. ჩვენ ვამბობთ, რომ მიღებულ პროექტში არავითარი ქართული სტილი არ არის დაცული. 3) ჟიურის შემადგენლობა უნდა ყოფილიყო შემდგარი: მთავრობის და ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელთაგან, მეცნიერთა წარმომადგენლისაგან და მხატვართა წარმომადგენლისაგან ჩვენ ვეჭვობთ, რომ დაფასების დროს რომელიმე მხატვარი, ან მეცნიერი ყოფილიყოს.

თეთრი გიორგი უნდა ყოფილიყო შვიდ მნათობიანი. მიღებულ პროექტში კი ცხრა მნათობია ეს პირობას ეწინააღმდეგება. საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს, თუ რა პირობებში მოხდა ჩვენი ქვეყნის ღერბის შემუშავება, რადგან კონკურსში მონაწილეობის მიმღებნი ასრულებდნენ თავის საქმეს იმ პირობების მიხედვით, როგორც იყო გამოცხადებული და დაფასებაც ამ პირობების ფარგლებში უნდა ყოფილიყო.

დავით კაკაბაძე.

მოწერილი ამბები

ქ. ხონი. პარასკევს, ნოემბრის 15, ადგილობრივ სემინარიის დარბაზში მოწაფეთა საერთო კრებაზე ყოფილ ს.-დ. ბ. ზოსიმე ჩაჩვაძემ წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატი და სოც.-დემოკრატია". უნდა ითქვას, რომ რეფერატი ძლიერ მოკლე და მეტად ვიწრო გამოდგა ამას თვით დამსწრე მენშევიკებიც გრძნობდნენ...

დასასრულ გაიმართა კამათი. ოპონენტად გამოვიდა ადგილობრივ სოც.-ფედ. მოწაფეთა ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი ამხ. გ. ხოფერია. მან აღნიშნა რეფერატის უშინაარსობა, შემდეგ დეტალურად შეეხო ინტერნაციონალის ისტორიას, გადაუშალა დამსწრე საზოგადოებას პირველ და მეორე ინტერნაციონალის დამსხვრევის მიზეზები, საფუძვლიანობა მესამე ინტერნაციონალისა და მისდამი მხურვალე დამოკიდებულება ჩვენი პარტიისა. გააშუქა კონცენტრაცია-პროლეტარიზაციის შეუძლებლობა სოფლის მეურნეობაში და ამ რიგად მარქსისტული მეცნიერული სოციალიზმის დამარცხება ცხოვრების მიერ. თავისი ვრცელი სიტყვა ამხ. ხოფერიამ დაამტკიცა მთელი რიგი სტატისტიკური ცნობებით და მასალებით, რითაც დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა და ტაშის ცემით დააჯილდოვა ამხ. ხოფერია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხოფერიას სიტყვას ზოგიერთ წვრილ ფეხა მენშევიკები არ უსმენდნენ და ხელოვნურად ანარქიას აძლიერებდნენ, რომ ამით ოპონენტის სიტყვისთვის ფეხი დაეკარგათ, მაგრამ ამაოდ ჩაუვიდათ. ბოლოს მომხსენებელმა გასცა პასუხი და კრებაც დაიხურა ღამის 12 საათზე.

მეორე დღეს, შაბათს, ადგილობრივ თეატრის დარბაზში ამხ. გ. ხოფერიამ წაიკითხა უფასო საჯარო რეფერატი შემდეგ თემაზე: „აგრარული პრობლემა". აუდიტორია სავსე იყო ხალხით. საღამოს 6 საათზე ამხ. რეფერენტმა დაიწყო რეფერატის კითხვა, რამაც ორი საათი გასტანა. დამსწრე საზოგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინა შინაარსიანი რეფერატი.

შემდეგ გაიმართა კამათი და შეკითხვები. ამხ. რეფერენტმა ყველას სათანადოდ უპასუხა და ნასიამოვნები ხალხი ღამის ორ საათზე დაიშალა.

ამხანაგი ხოფერია ამავე რეფერატს ამ ჟამად კითხულობს საქართველოს სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში.

ვ. კვათანელი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა.

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9 12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ქალი [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და [illegible] ყოველ დღე შინაგან, ქალთა და [illegible] ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 სათ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტ. ლ. 9—16 2306

ექიმი ნიკოლოზ მახარაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, ჭლექის, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და [illegible] მიხეილის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. ფუტკარაძე (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს [illegible] საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, [illegible] სნეულებანი. [illegible]

ექიმი ი. ა. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, [illegible] ფილტვების [illegible] (დიათერმია) და წამლობა [illegible] სისხლნაკლებობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. [illegible] დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. [illegible]

ექიმი [illegible] მიიღებს ვენერიული, სხვათა ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი ხარტუმის „ნოეს" პირდაპირ № 8. 391

ექიმი ქ. ტუშმალიშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 18.

თვალის სამკურნალო [illegible]
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ამთელის კინო-თეატრის მახლობლად). [illegible] და სამკურნალო ავადმყოფები [illegible] მიიღებიან. 820

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულის, კუჭისა და ქაქების მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფიის [illegible]. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კოლოდნის ქ. № 6, ბ. ვ. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—45. 2029

მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა
მ. გ. მეზრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92 საწყალებს ღებულობს უფასოდ. 1849

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის
მოსიარულე ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული სიფილის 606—914 (ცრილი) 11—12
ი. ა. ლაზარევი—სხვებით სიფილი[illegible] ნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალ[illegible] სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშ[illegible] ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—ბავშვთა ავადმყ[illegible] ფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხატრიძე—ბაქტერიოლოგი—[illegible] სამკურნალოს ლაბორატორია. ს. [illegible] იძლევა ყოველგვარი ანალიზი [illegible] (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.)
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრ და [illegible] ბის გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, [illegible] ხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში [illegible] მორიგე ექიმი.

[illegible]
(დაარსებულია 1880 [illegible])
[illegible]
„606" და „914" 1—12 ს.
[illegible]

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე", ბარონ-ს № 14, (კალოუბნის ქ. 14).